# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 2010 წელი.

№182 (6548)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## ოპოზიცია სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად მზად არის? 2

## ხალხზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, მაგრამ ზრუნავს?! 5



დედაქალაქის სატკივარი

## ვეღარც ტროტუარზე გაივლი და ვეღარც ავტობუსში ჩაჯდები გაჩერებაზე



## ყვითელი ავტობუსების „ყვითელ“ კონტროლიორთა მეშვეობით მიღებული შემოსავალი გასავალს ვითომ ფარავს? 3



წარმომადგენლობითი სახალხო კრება

## „ქოცბაია, ნაკრებში აიყვანე მიშა, კარგი „დრიბლინგი“ აქვს“

### სახალხო წარმომადგენლობითი კრება შედგა, მაგრამ ეროვნულ დაუმორჩილებლობამდე ჯერ ისევ შორია

**ჩამოყალიბდა თუ არა ოპოზიციის ალტერნატივა? შეძლებს კი ფილარმონიაში შეკრებილი საზოგადოება ხელში აიღოს პოლიტიკური ვითარების სადავეები და მართოს ხალხი, აქტიური ქმედებების პროვოცირება მოახდინოს... ბოლოს და ბოლოს შეცვალოს ხელისუფლება? — აი, კითხვები, რომელიც გუშინდელმა დღემ გააჩინა.**

მოთელვა, შეიძლება ასე ვუწოდოთ ეროვნული კრების პირველ შეკრებას, სადაც საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, ინტელიგენციის დიდი რაოდენობა შეიკრიბა. ერთადერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერი ეს იყო ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ამ შეხვედრაზე საჯაროდ და ღიად მისვლისგან თავი არ შეიკავა. როგორც ითქვა, სახალხო კრების იდეით დაინტერესებული იყვნენ „ეროვნული ფორუმისა“ და „დაიცავი საქართველოს“ წევრები, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კრების პირველ შეხვედრაზე მისვლისგან თავი შეიკავეს. წერილობით ფორმით შემოიფარგლა ლეიბორისტი შალვა ნათელაშვილი და სოლიდარობა გამოუცხადა იქ შეკრებილ საზოგადოებას.

**გოგი ქავთარაძე:** დღევანდელი დღე, ეს უკვე არის ნიშანი გამარჯვებისა. ჩვენ ყველას საქართველო გვტკივა. აქ არიან წარმომადგენლები რეგიონებიდან და თითო კაცი მაინც ყველა რაიონიდან. ფუჭი იმედების ამარა ნუ ვიქნებით, რომ ჩვენ არჩევნების გზით გავიმარჯვებთ.

იხ. 2 გვ.

## საფესტივალო ფეიერვერკი და... ჯარის ამოყრა ნაციონალურად 4



## საქართველოს ოპოზიცია სააკაშვილს მორჯულებას ევროპაში აპირებს 8

ნოდარის კარიკატურა





## ეს ჟურნალისტი ქსენია ნეტავ ვის 4 მოუქსევია?!



რეპორტაჟი ფილარმონიიდან

# „ქეცბაია, ნაკრებში აიყვანე მიშა, კარგი „დრიბლინგი“ აქვს“

## სახალხო წარმომადგენლობითი კრება შედგა, მაგრამ ეროვნულ დაუმორჩილებლობამდე ჯერ ისევ შორია

(პირველი გვერდიდან)

ნონა გაფრინდაშვილი: აქ შეიკრიბა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმება დღევანდელ რეალობას. პიარაქციებში დახარჯული მილიონები და ფალსიფიცირებული არჩევნები მიუღებელია... ერთმანეთის მოსაზრებები გავიზიაროთ და პრობლემების გარშემო ვიმსჯელოთ. რა მოხდებოდა, რომ პოლიტიკური პარტიები მოსულიყვნენ და ეს პრობლემები ჩვენთან ერთად მოესმინათ. თუკი რამდენიმე თვის წინათ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდნენ, ახლა რა შეიცვალა?! გინდათ ამ რეჟიმის შეცვლა? – მაშინ სახალხო წინააღმდეგობის გზით დავიწყოთ დემონტაჟისთვის ბრძოლა.

**შეკრებაზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემზარავი ფაქტები აჩვენეს, დაკარგული ტერიტორიები, იმ დღეებში პრეზიდენტის გამოსვლების კადრები, რასაც დარბაზიდან მკაცრი რეპლიკები ახლდა: ამას რომ ვითმენთ, უარესის ღირსნი ვართ, არ შეიძლება ამის გულგრილად ყურება. დახოცილი ჯარისკაცების, სახეწაშლილი ადამიანების ჩვენებამ ზოგიერთზე ისე იმოქმედა, რომ ცუდად გახდნენ და დარბაზი დატოვეს. ყველაზე მეტი ემოცია გორში მიწაზე მხოხავი პრეზიდენტის კადრებმა გამოიწვია: „ქეცბაია, ნაკრებში აიყვანე მიშა, კარგი „დრიბლინგი“ აქვს!“**

ირაკლი ბათიაშვილი: სააკაშვილის მთელი პოლიტიკა ტყუილზე და ცინიზმზეა აგებული. ჯერ ისევ ცხინვალში ეყარნენ დახოცილი ბიჭები, როცა ესენი ზარზეიმს აწყობდნენ რუსთაველზე. ახლა ძილქუშის მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ერი ხელახლა გამოიღვიძებს. ეს არის უტვინო, უგუნური და აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ატარებს. მომავალი ხელისუფლება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ვერ შეძლებს, მაგრამ მან უნდა შეძლოს პერსპექტივის გაჩენა.



ვახტანგ ახვლედიანი: დიდი დელეგაცია ჩამოვიდა აჭარიდან, ბევრად მეტი იქ დარჩა... ბათუმის ინტელიგენცია აღშფოთებულია. როგორც კი ეს ხელისუფლება მოვიდა მემედ აბაშიძის და ილია ჭავჭავაძის ძეგლებს ეცნენ, შესანიშნავი კლუბი იყო „ნონა“, იმწუთში აზრა ჩამოხსნეს. აჭარაში ვარდის სიყვარული დიდი იყო, ახლა კი ეზოებში ვარდებს არ აჩერებენ.

ელიზბარ ჯაველიძე: მამულიშვილნო! დიდი ხანია ეს სიტყვა არ გსმენიათ, რადგან ტაბუ დაადეს მამულისა და სამშობლოს ცნებას. მრავლად მსმენია სააკაშვილის აუგი: ჩიტირეკიააო, ჭკუაზე ვერ არისო, მშიშარააო, მაგრამ მთავარი არ უთქვამთ: ის სატანისტურ მოვალეობას ასრულებს. მისი მიზანია მოსპოს და გააჩანაგოს ერი.

მერაბ ჯიბლაძე: შეხედეთ თქვენი შვილის სახელმძღვანელოებს, დებილებისთვის არის დაწერილი, თუმცა ის ავტორები არიან თავად დებილები, ვინც ეს დაწერეს. უნივერსიტეტის ცნება მოკვდა, საზოგადოებიდან ფულის ამოღების ორგანიზაციებად იქცნენ. ნიჭიერები უცხოეთში გარბიან, სურს კი ეს ხალხს? ამიტომ არის მთავარი, ერთად დგომა და გაერთიანება – ეროვნული დაუმორჩილებლობის გარშემო.

ლუკა კურტანიძე: ეს არის უსამართლო, ცინიკური ძალადობრივი რეჟიმი. მივმართავ პოლიციას, ჯარისკაცებს. ფიცი დადეთ სამშობლოს წინაშე, რომ დაიცავდით მას, მაგრამ ეს არ არის ერთი გონებადაბინდული ადამიანის სამშობლო, ის ჩვენია. დღეს მთავარია სახალხო კრების სახელით შეიქმნას გაერთიანება, რომელიც შიშსა და უიმედობას დაამარცხებს. ღმერთს ებარებოდეს ქართველთა სამშობლო, – დაგლოცავთ ისე, როგორც ფერეიდნელი ქართველები ილოცებენ.

მინდია უგრეხელიძე: ხელისუფლებამ ნდობის მანდატი გამოგვტყუა და ის უკანვე უნდა დავიბრუნოთ. ნებით არ აბრუნებენ. რა უნდა ვილონოთ, ჯერ არ ვიცით. ჩვენ არანორმალურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. რა გვეშველება? ამის გასარკვევად არის მოწოდებული სახალხო კრება... არც მე მჯეროდა, თუ ეს ხელისუფლება ასეთი სასტიკი იყო, მაგრამ სახალხო სასამართლოს მოსამართლეობისას დავრწმუნდი, რომ თურმე აქ ადამიანებზე ნადირობენ. რით და როგორ გავუმკლავდეთ სახელისუფლებო თვითნებობას? – ყველა საშულება ნებადართულია. აბა რისთვის არსებობს აუცილებელი მოგერიების სამართლებრივი ინსტიტუტები?!

ჩემი აზრით, მომდევნო სახალხო კრებაზე აუცილებლად უნდა მოვიწვიოთ პრეზიდენტი. ეს იქნება ნაღდი, უტყუარი ტესტი, მაშინ გამოჩნდება აქვს თუ არა საერთო ხალხის არჩეულს ხალხთან.

რეზო ესაძემ ამ დღეს სულის სვლა კუზიან დროში უწოდა.

ფილარმონიის გადაჭედილ დარბაზში მსახიობმა გია ბურჯანაძემ სახალხო კრების დეკლარაციებისა და რეზოლუციის პროექტი წაიკითხა. გუშინდელი დღიდანვე შეუძლია ყველა მსურველს, კრებაში გაერთიანდეს. წარმომადგენლობითი სახალხო კრება 25 ნოემბერს ჩატარდება, 14 ოქტომბერს კი ბათუმში რეგიონული შეკრება გაიმართება.

ასევე, კონსულტაციები ჩატარდება პოლიტიკურ პარტიებთან, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ სახალხო კრების მომზადებაში და შემდგომ ამ კრების ჩატარებაში.

რეზოლუციის ტექსტში დეტალურად არის აღწერილი სახალხო კრების სამოქმედო გეგმები. აღნიშნულია, რომ აუცილებელია მოხდეს საზოგადოების ძალისხმევის ლეგიტიმაცია სააკაშვილის დამღუპველი რეჟიმის აღსაკვეთად. სახალხო კრების ინიციატორები ხელისუფლებას სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კოლაფსში ადანაშაულებენ. ხელისუფლება მოხსენიებულია, როგორც ავტორიტარული რეჟიმი, რომელმაც ხალხს ერთადერთი უფლება დაუტოვა, უსამართლო გარემოში იცხოვროს ფიზიკური გადარჩენისთვის.

დეკლარაციის ავტორები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია გადაიდგას ყველა ქმედითი ნაბიჯი, რათა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებთან ერთად სახალხო კრებამ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს და მის სამართლიანად ჩატარებას მიაღწიოს.სახალხო ყრილობის ინიციატორებს მზა რეცეპტი – როგორ შეცვლიან ხელისუფლებას – ჯერ არა აქვთ, მაგრამ იციან გზა – მთავარია, დავძლიოთ შიში. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ამ შიშისგან გათავისუფლება მოახერხა, აი, მეორე ნაწილმა კი საერთოდ არ იცის, რა არის შიში, რადგან მათ ხელისუფლება დისკომფორტს სულაც არ უქმნით... ვნახოთ, რას მიაღწევს სახალხო კრება – შეძლებს კი საზოგადოების კონსოლიდაციას, როგორც ეს თავშია ჩაფიქრებული, თუ, პირიქით, ორად გაყოფს. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო დღე, საკმაოდ აგრესიული პოლიტიკური განცხადებებით, პოლიტიკოსების გარეშე...

ნია ფიფია

ეროვნულ კრებამდე

# ოპოზიცია სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად მზად არის?

...შემდეგ იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. პრეზიდენტი ნინო ბურჯანაძე გახდება, პრემიერად, ალბათ, ირაკლი ალასანია დაინიშნება, ვაშინგტონმა და მოსკოვმა ასე გადაწყვიტეს. ნინო ბურჯანაძე სტაბილურობის გარანტია... – ასე წინასწარმეტყველებდა ჯერ კიდევ ზაფხულში ექსპერტი რამაზ კლიმიაშვილი. ეს პროგნოზი ახლა იმიტომ გავიხსენე, რომ სახალხო კრების ინიციატორთა შორის ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთი ის აქტიური პოლიტიკოსია, რომელიც ამ კრებაზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებს. შემოდგომიდან სულ სხვა ვითარება იქნებაო, ვარაუდობდნენ ექსპერტები და მართლაც ამის პრელუდიად შესაძლოა სახალხო კრება იქცეს.

ოპოზიციონერები არ უარყოფენ, რომ გამალებული კონსულტაციები დიდი ხანია მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასა და პოლიტიკოსებს შორის. მართალია, არც ერთი მსგავსი სახის შეხვედრა საჯარო არ ყოფილა, მაგრამ მოძრაობა აშკარად თვალსაჩინოა. ოპოზიციურ ფლანგზე რამდენიმე ბრძოლის გზა გამოიკვეთა, მაგრამ მათ შორის ყველაზე მასშტაბური და შედარებით „რევოლუციური“ მხოლოდ სახალხო კრების იდეაა.

საინტერესო შეხვედრა შედგა ჟენევაში ირაკლი ოქრუაშვილთან. სოზარ სუბარი, ლევან გაჩეჩილაძე, ეროსი კიწმარიშვილი და კოკა გუნცაძე დევნილ ექსმინისტრს ესტუმრნენ. ყველას კარგად ახსოვს ოქრუაშვილის აწეული მუხტი, ხელისუფლების შავბნელი საქმეების გამჟღავნების მუქარა, დამფრთხალი ჩინოსნები და საყოველთაო-სახალხო რადიკალური რეაქცია... 7 ნოემბერი. ამჯერად რა გეგმები აქვს ემიგრანტ პოლიტიკოსს საქართველოსთან მიმართებაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის დამშვიდებას არ აპირებს. ეს უკვე მერამდენედ ჩადიან მასთან კონსულტაციების გასამართად ქართველი ოპოზიციონერები. ოქრუაშვილთან საუბრიდან დაბრუნებული სოზარ სუბარი, რომელიც ყოველთვის კონსტრუქციულობის მომხრეა, მიიჩნევს, რომ ხალხის პროტესტის ხმა მუდმივად უნდა ესმოდეს ხელისუფლებას და ხალხის რისხვა დამოკლეს მახვილივით ეკიდოს მათ თავზე... თუ სოზარ სუბარს დავუჯერებთ, გარკვეული პოლიტიკური ძალები „სერიოზული ნაბიჯების“ გადასადგმელად მზად არიან.

ოპოზიციური თანხმობა არ გამოკვეთილა, ხოლო ინდიფერენტულობაშეპარულ საზოგადოებას საპროტესტო მუხტისა არაფერი ეტყობა. ამას არც გაუფასურებული ლარი შველის და არც თითქმის გაორმაგებული ფასები პროდუქტებზე. გააქტიურებული, „ეროვნული ფორუმი“ საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების მიღებაზეა ორიენტირებული. 130 ათასი ხელმოწერა უკვე დაიდო პარლამენტში და ახლა დეპუტატთა რეაქციაზეა დამოკიდებული, მიიღწევა თუ არა საკანონმდებლო ორგანოში ცვლილებები.

კონსტიტუციური გზით ხელისუფლების მომხრეა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ გეგმავს მმართველი პარტიის უმცირესობაში გადაყვანას, თუმცა სახალხო კრების ინიციატორთა გვერდით დგომა დიდად არ ეპიტნავება.

ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი საარჩევნო გარემოს შეცვლის პროცესს ძალიან სკეპტიკურად უყურებს. „როდესაც საარჩევნო გარემოს შეცვლაზე ლაპარაკობენ, ისეთმა ოპოზიციამ და შემდეგ საზოგადოებამ უნდა იქონიოს გავლენა, რომელსაც რეალური ძალა აქვს. და ამ ძალას ანგარიშს უნდა უწევდეს ხელისუფლება. ის იძულებული უნდა გახდეს, შეცვალოს საარჩევნო გარემო“... ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების სახელით მოქმედებენ, თუმცა აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური განცხადებებით გამოირჩევიან, პოლიტიკოსებისგან შორს დგომას ამჯობინებენ. სწორედ მათ რიგშია რამდენიმე სერიოზული არასამთავრობო – „ქართული აკადემია“, „ყოფილი პოლიტპატიმრები“, „7 ნოემბერი“ და ა. შ. მათი აზრით, საზოგადოების მობილიზაციის თვალსაზრისით ინიციატივა არასამთავრობოებმა უნდა აიღონ და შესთავაზონ გეგმები, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას, დათმობებზე წავიდეს.

ხელისუფლების იძულება – მეტად საჩოთირო თემაა. ასე ადვილად ნაციონალები ფარ-ხმალს არ დაყრიან და აღებულ კურსს არ გადაუხვევენ. მოლაპარაკებები, კონსულტაციები ის ფასადია, რომელსაც დემოკრატიული ნიშნის დასამკვიდრებლად იყენებენ, თუმცა აქამდე ოპოზიციამ ვერ შეძლო ვერც ერთი სერიოზული წარმატების მიღწევა, იქნებოდა ეს თხოვნის თუ მოთხოვნის გზით.

ამის მიუხედავად, ყველა პოლიტიკურ ძალას საკუთარი გზა აქვს, რომლებიც სახალხო კრების სურვილამდე ჯერჯერობით ვერ მიდის. ყველა ელოდებოდა თუ საითკენ იქნებოდა მიმართული სახალხო ყრილობა და რა მოთხოვნები გახმიანდებოდა. როგორც ნავარაუდევი იყო, ეს იქნებოდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნა. ეს მოთხოვნა ახალი არ არის, ჩვენ ეს გზა ერთხელ უკვე გავიარეთ და შედეგიც მივიღეთ. და თუ მაინც დაინიშნება საპრეზიდენტო არჩევნები, ეს სულაც არ იქნება დამშვიდების საბაბს, თუკი პარლამენტი ახალი კონსტიტუციის მიღებას მოასწრებს, სახეცვლილი სააკაშვილი, ალბათ, პრემიერად მოგვევლინება, ანუ ადამიანთა იმედგაცრუება ასეთ შემთხვევაშიც გარდაუვალია.

თუკი ლეიბორისტები, როგორც წესი, ეჭვის თვალით უყურებენ ეროვნული კრების ეფექტიანობას, ერთობ კეთილგანწყობილები არიან კონსერვატორები. ამასთანავე, ისინი, მკაცრად უგულებელყოფენ აჯანყების იდეას. „აჯანყებისა და თოფის სროლისკენ მოწოდება უპასუხისმგებლობაა, – აღნიშნავს ზვიად ძიძიგური, – საქართველოს პოლიტიკურ არსენალში უამრავი იარაღია, რითაც ჩვენს წინააღმდეგ დაგეგმილი ყველა ნაბიჯის გაუვნებელყოფა შესაძლებელია“. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, ისინი იმიტომაც არ იზიარებენ სახალხო კრების იდეას, რომ მოსაწვევი ნინო ბურჯანაძისგან მიიღეს. კრების აპოლიტიკურობაც ეჭვქვეშ ამიტომაც დააყენეს...

**აზრის სხვადასხვაობის მიუხედავად, საზოგადოებას ძალიან დიდი მოლოდინი აქვს. ეროვნულმა კრებამ რაღაც ეტაპი უნდა დაიწყოს და დაასრულოს კიდეც. სხვა თემაა, შეძლებს თუ არა ამას, მაგრამ საზოგადოების აგრერიგი ხმაური მიყუჩებულ და ლამის „გალიბერალებულ“, შემწყნარებლურ პოლიტიკურ გარემოში ერთგვარი მუხტია. მხოლოდ ესაა, რომ მოსახლეობაში კვლავ ყალბი მოლოდინი არ უნდა გააჩინოს, ისეთი,ბრძოლისა და ცვლილებების სურვილი საბოლოოდ რომ ჩაკლას.**

თეა მოსია

◉ გუშინდელი ფოსტიდან

# ვეღარც ტროტუარზე გაივლი და ვეღარც ავტობუსში ჩაჯდები გაჩერებაზე

**ამ ბოლო დროს იმდენს ვაქებთ პოლიციასა და პატრულს, რომ წამდაუწუმ მახსენდება ერთი ძველი ანდაზა: ნაქებმა ძაღლმა ნიახურზე გადააფსაო. ძაღლი თვითონ ანდაზაში ნახსენები ცხოველია, პატრონისგან ფერებით გათამამებული, თორემ აქ სხვა ნართაული დანიშნულება არა აქვს.**

ეს ანდაზა კი, ახლაც იმიტომ გამახსენდა, რომ პოლიციელიც და პატრულიც ქუჩაში თითქმის სანთლით საძებნელი გახდნენ. როგორც ჩანს, ასეა საჭირო, უხილავად უნდა სცემდნენ შიშის ზარსა თუ შიშის ქარს დანაშაულის ჩამდენთ. არადა ეს ზარი თუ ქარი აშკარად კლებულობს. ყოველ შემთხვევაში ძველი ხარისხით ვეღარ მოქმედებს. ეს უკვე ბევრ რამეში იგრძნობა, და მეც ამიტომ გამიჩნდა „გონივრული ეჭვი" თვითონ პოლიციელისა და პატრულის მიმართ, რომელთაც მალე ამ დიდად საეჭვო „გონივრული ეჭვის" საბაბით ყოველი ჩვენგანის კედელზე აყუდება შეეძლება, რასაც, არც ერთი გონიერი საზოგადოება არ უნდა შეეგუოს, უფრო სწორად, ამ ვირეშმაკულად შორს გამიზნულ „გონივრული ეჭვის" კანონს მართლაც ფხიზელი საზოგადოებრივი გონება უნდა დაახვედროს და „სიცოცხლის" საშუალება არ მისცეს.

ახლა კი ისევ ტროტუარზე გავლისა და გაჩერებაზე ავტობუსში ჩაჯდომის ამბავს მივუბრუნდები. სხვაგან, სხვა ქალაქებში არ ვიცი, ამ მხრივ რა ხდება, მაგრამ თბილისში კი ნამდვილად საგანგაშო მდგომარეობაა. კერძოდ, პეკინისა და საბურთალოს ქუჩებზე ამ თვალსაზრისით სრული „ყაზზობაა", როგორც იტყვიან, გინდა „იმ გზობას", გინდა „ ამ გზობას".

თანაც ეს უამრავი კერძო მანქანა ტროტუარებზე ისეა გაჩერებული, რომ გვერდულად თუ გაივლი თუ საერთოდ გაივლი, თორემ ხელში რამე ბარგი თუ გიჭირავს ანდა ბავშვიან ეტლს თუ მიაგორებ, გავლაზე არც უნდა იფიქრო, ფრენით კი,



მოგეხსენებათ, ჯერჯერობით ადამიანები კარლსონივით ვერ დავფრინავთ. მთელი უბედურება ის არის, რომ გვერდზეც ვერ გადახვალ: ქუჩების ორსავე მხარეს ისევ მანქანებია ჩამწკრივებული.

ეს რაც ტროტუარებზე გავლას შეეხება. დიდი მოხერხებულობა და ერთგვარი „მუშაითობა" გვმართებს გაჩერებაზე ავტობუსში ჩაჯდომისასაც. ჯერ ერთი, ეგრეთ წოდებული „მარშრუტკების" გამო საერთოდ გაჩერებასთან მიახლოება ჭირს, მეორეც, ახლა უკვე დილიდან საღამომდე უპატრონოდ მიტოვებულია კერძო ტრანსპორტი, და ავტობუსს ჩასაჯდომად გაჩერებიდან კარგა მანძილზე უნდა სდიო, რომ იქნებ როგორმე დაეწიო, ისიც თუ წამიერად გასაჩერებელ ადგილს სადმე მიაგნო. ერთი სიტყვით, ჩემი ამდენი „ქაქანი", ალბათ, საჭირო არ უნდა იყოს, რადგან დარწმუნებული ვარ, ყოველი თბილისელი დღეს ამ დღეშია. არადა საშველი არ ჩანს.

ის კი არა, გუშინ პეკინისა და საბურთალოს ქუჩების კუთხეში სრულიად შემთხვევით პოლიციელების გაჩერებულ მანქანას რომ მოვკარი თვალი, გახარებული მივვარდი ჩემი გულისტკივილის სათქმელად, თან ისიც ვუთხარი, ხომ ხედავთ, მანქანები, მიუხედავად აკრძალვის ნიშნისა, მარჯვნივ უხვევენ, წითელ შუქზე, და გამვლელთ გადასასვლელზე გადასვლის საშუალებას არ აძლევენ-მეთქი. ყურიც არ შეიბერტყეს და აგდებულად მომიგდეს, ეგ ჩვენ არ გვეხება, ეგ პატრულის საქმეაო. პატრული კი, როგორც მოგახსენეთ, სანთლით საძებარი გახდა, აქაოდა, უხილავად ვიცავთ წესრიგსო (როგორც ჩანს, ალბათ, ამერიკაში აგრეა!ძ.

ამ ჩვენი ბოლოდროინდელი ყველანაირად შეჭირვებული ცხოვრებისდა კვალად თუ ვიმსჯელებთ, ეტყობა, ისღა დაგვრჩენია, რომ ეს ჩვენი საბედისწეროდ გზააბნეული საქართველო ბარემ ამერიკის შეერთებული შტატების 51-ე შტატად გამოვაცხადოთ და ეს ჩვენი ამერიკულად გატრაბახებულ-გამოტრაბახებული ცრუპენტელა პრეზიდენტი კი გუბერნატორად ვაქციოთ. თუ არა და, ჩანს, 2013 წლამდეც ამ დღეში ვიქნებით, ხოლო 2013 წლის შემდეგ – კარგად მეყოლეთ!..

დაბოლოს, როგორც ჩანს, ცოტა არ იყოს მარტო ბრუციანი ვიდეოთვალის იმედად დარჩენილი ჩვენი პატრული ვითომ ჩვენ გვიცავს?!

**ვეფხია სტამბოლიშვილი,**
თბილისი, საბურთალოს ქუჩის ვაიმცხოვრები

◉ მკითხველის თხოვნით

# ყვითელი ავტობუსების „ყვითელ" კონტროლიორთა მეშვეობით მიღებული შემოსავალი გასავალს ვითომ ფარავს?

## რატომ გააუქმეს ან დროებით მაინც რატომ შეაჩერეს ხალხისთვის ხელსაყრელი რამდენიმე საავტობუსო მარშრუტი?

**იმის მიუხედავად, რომ ბოლო წლებში დედაქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, კერძოდ, ავტობუსების ნომრები და სვლაგეზები ძალიან შეიცვალა, დროთა განმავლობაში ხალხი ამას მაინც შეეჩვია, თავისთვის ხელსაყრელი მარშრუტებიც შეარჩია და დანიშნულების ადგილებამდე იმით მგზავრობას ამჯობინებს. ამდენად, ზოგის გაუქმება ამ ადამიანებს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის და ხშირად ამა თუ იმ საკითხის გასარკვევად გაზეთის რედაქციაში გვაკითხავს.**



ამჯერადაც ასე მოხდა, რედაქციაში თბილისელი ქალბატონი თამარ ფიფია გვესტუმრა და ავტობუსის №114 მარშრუტის გაუქმების თაობაზე შემოგვჩივლა, რომელიც დიდი დიღმიდან, ფაქტობრივად, მთელი თბილისის გავლით, მესამე მასივის ბოლომდე გადიოდა და მრავალი თბილისელისთვის მეტად ხელსაყრელი იყო. ამის გასარკვევად საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირებს მივმართეთ, სადაც ინფორმაციის მიღებაში დაგვეხმარნენ.

აღმოჩნდა, რომ **ავტობუსის №114 მარშრუტი გაუქმებული კი არა, არარენტაბელობის გამო დროებით შეჩერებულია და, როგორც დედაქალაქის ტრანსპორტის სამსახურში განმარტეს, ახლო მომავალში აღდგება.**

გარდა №114 ავტობუსის მარშრუტისა ასევე დროებით შეჩერებული ყოფილა №№71, 76, 117 და კიდევ ოთხი ნომრის მარშრუტებიც.

ამ მარშრუტების დროებით შეჩერებას მათი არარენტაბელობით ხსნიან, მაგალითად, №117 ნომრის მარშრუტზე, რომელიც თბლისიდან რუსთავის შესასვლელამდე მოძრაობს, მგზავრობის ფულს, ფაქტობრივად, თურმე არავინ იხდის.

სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი რომ შევიტყვეთ, დიდად გაგვიკვირდა, რადგან თბილისის შიდა მარშრუტებზე ავტობუსით მოძრაობისას, ვიდრე ერთი უბნიდან მეორეში გახვალთ, თითქმის გამორიცხულია, ერთი „ყვითელა" კონტროლიორი მაინც არ ამოვიდეს და ბილეთი არ შეგიმოწმოთ. თან გაჩერებებზეც დგანან ტყუპ-ტყუპად ტალიკ-ტალიკი ბიჭები და ავტობუსებიდან ჩამოსულებს დაჟინებით სთხოვენ ბილეთის წარმოდგენას. თუ თბილისში ავტობუსის კონტროლიორთა მთლიან რიცხოვნობასა (დაახლოებით ასი კაციძ და მათ ხელფასს (800 ლარიძ გავითვალისწინებთ, ადვილი დასათვლელია, რომ მარტო მათი ხელფასი წელიწადში 960 ათასი (თითქმის მილიონი!ძ ლარია. როგორც ჩანს, დედაქალაქის ტრანსპორტის მესვეურთ „ჩიტი ბდღვნად" ულირთ, თუმცა ზუსტი მონაცემების მოპოვება მაინც ვერ მოვახერხეთ, რადგან დედაქალაქის სატრანსპორტო სამსახურში ამ საკითხზე ერთობ უხალისოდ ლაპარაკობენ. ამავე დროს იმასაც აცხადებენ, რომ უბილეთო მგზავრთა დაჯარიმებით შემოსული თანხის მთლიანი ოდენობა არა მარტო ფარავს ავტობუსის კონტროლიორთა შენახვის ხარჯს, არამედ მოგებაც მოაქვს.

**ასეა თუ ისე, დედაქალაქის, ასევე ქვეყნის სხვა მსხვილი ქალაქებისა და საქალაქთაშორისო სამგზავრო-სატრანსპორტო გადაზიდვებში ბევრი რამ რომ შესაცვლელია, ფაქტია. ახლო მომავალში იგეგმება კიდეც მნიშვნელოვანი ცვლილებები უკვე საკანონმდებლო დონეზე, რის თაობაზეც ჩვენს ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი.**

**ოთარ ტურაბელიძე.**

◉ ინფორმაცია



### ლუჟკოვის შემდეგ წერეთელსაც შემოსწყრნენ

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ახრანადზორი" მოსკოვის ქართველი მხატვრის და მოქანდაკის ზურაბ წერეთლის სკულპტურებისგან გაწმენდას ითხოვენ. ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფაქსი" ავრცელებს.**

**საზოგადოებრივი მოძრაობის კოორდინატორის კონსტანტინ მიხაილოვის განცხადებით, ზურაბ წერეთელს „საინტერესო და წარმატებული ნამუშევრები აქვს, ის ნიჭიერი მოქანდაკეა, მაგრამ მისი შემოქმედებისთვის ქალაქში ადგილი არ არის".**

**მისივე შეფასებით, ქანდაკებები, რომლებიც ქალაქშია განთავსებული, „მოსკოვის ისტორიულ სახეს აფუჭებს" და მათი გადატანა შეიძლება, რომელიმე პარკში, როგორც ეს საბჭოთა ერის დასრულების შემდეგ ამ ეპოქის ძეგლებთან დაკავშირებით მოხდა.**

**არსებული ინფორმაციით, ზურაბ წერეთლის მიმართ მოსკოვში განწყობის შეცვლა მოსკოვის ექს-მერს იური ლუჟკოვს უკავშირდება, რადგან წერეთელი და ლუჟკოვი ახლო მეგობრები იყვნენ.**

### ფარცხისი-წალკის გზა ნოემბრისთვის გაიხსნება

**რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლეიშვილმა ფარცხისი-წალკის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.**

**როგორც ნიკოლეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, 53-კილომეტრიანი გზის მშენებლობა სავარაუდოდ ნოემბრის ბოლომდე დასრულდება.**

**ფარცხისი-წალკის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში სანიაღვრე სისტემები მოეწყობა, ასევე აშენდება საყრდენი კედლები და ოთხი ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდება.**

**მშენებლობაზე 300-მდე ადამიანია დასაქმებული.**

### ნიქოზის სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო

**ნიქოზის წმ. ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს პოლონეთის ელჩმა ურსულა დოროშევსკამ და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ არსოშვილმა.**

**ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიასთან არსებული სკოლა გასულ წელს მეუფე ისაიას ინიციატივით დაფუძნდა. სკოლაში ცხინვალის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ბავშვები ეუფლებიან ქართულ და უცხო ენებს, ანიმაციას და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. მეუფის განცხადებით,სკოლაში გასულ წელს 40 მოსწავლე იყო. წელს კი მათი რიცხვი 80-მდე გაიზარდა. პოლონეთის საელჩოს ფინანსური დახმარებით სკოლაში გახსნილია სახვითი ხელოვნების და ანიმაციური ფილმების წრე.**

### აზერბაიჯანი ოქროს მარაგს ზრდის

**აზერბაიჯანის მთავრობა ოქროს მარაგებს ზრდის. აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრის სამირ შაფიროვის განმარტებით, დღეისათვის ქვეყანაში 99,5 კგ ოქროს მარაგია. უახლოეს მომავალში კიდევ 100 კგ ოქრო მიემატება და მარაგები წლის ბოლომდე ისევ გაიზრდება.**

**შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანის ოქროს მარაგები ქვეყანაში ოქროს საბადოების მოცულობის მიხედვით დგება. ნედლეული შემდგომ შვეიცარიაში გადამუშავდება.**

**დღეისათვის მსოფლიო ბაზარზე ერთი უნცია ოქროს ფასი 1308,3 დოლარს შეადგენს, რაც წლის დასაწყისთან შედარებით უკვე 17 %-ითაა გაძვირებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

დაშიფრული ობიექტი

# ახალი პარლამენტის მშენებლობისთვის

## გამოყოფილი თანხის ოდენობა „სახელმწიფო საიდუმლოებაა“

**ამის შესახებ „პირველს“ ახალი პარლამენტის მშენებელ კომპანია „მაგი სტილში“ განუცხადეს.**

**„ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებლობისთვის გამოყოფილ ფი-**



**ნანსურ რესურსებზე კომენტარს ვერ გავაკეთებთ. ეს ინფორმაცია ჩვენთვის „სახელმწიფო საიდუმლოებას“ წარმოადგენს. პარლამენტის შესაბამის ორგანოებს მიმართეთ“,** – განაცხადეს „მაგი სტილში“.

„პირველი“ შეეცადა, გაერკვია, რა უფლებითა და პირობებით აშენებს „მაგი სტილი“ პარლამენტის ახალ შენობას, ჩატარდა თუ არა შესაბამისი ტენდერი, რა ჯდება სამუშაოები და ვინ გამოყოფს შესაბამის თანხებს, თუმცა ამ კითხვებზე პასუხი არც ერთ სახელმწიფო უწყებას კვლავინდებურად არ აქვს.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, „ეს მის კომპეტენციაში არ შედის“. მან პარლამენტის აპარატის უფროსთან დავით ჯანიაშვილთან გადაგვამისამართა, თუმცა აღნიშნულ კითხვებზე პასუხი ვერც მისგან მივიღეთ.

**„ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ. ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. როგორც ჩანს, ჩემთან არასწორად გადმოგამისამართეს“,** – განუცხადა „პირველს“ ჯანიაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ახალი პარლამენტის მშენებელი „მაგი სტილის“ ერთ-ერთი მფლობელი კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანია, თანამფლობელები კი – თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი და მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან მედიაპროდაქშენ გრუფის“ გენერალური დირექტორი გიორგი არველაძე.

ქუთაისში, ყოფილი დიდების მემორიალის ადგილზე მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია. ადგილზე „მაგი სტილის“ ტექნიკა მუშაობს.

შეგახსენებთ, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის ინიციატივით გასული წლის ბოლოს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე გამოვიდა. ძალიან მალე მის იდეას მხარი ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც დაუჭირა და გადაწყდა, რომ პარლამენტის შენობა ქუთაისში დიდების მემორიალის ადგილას აშენდებოდა. ამ მიზნით მემორიალის აფეთქება გადაწყდა, რომელსაც გასული წლის 19 დეკემბერს ორი ადამიანის – დედაშვილ ჯინჭარაძეების სიცოცხლე შეეწირა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა უბედურ შემთხვევაში დამნაშავე ყველა პირის დასჯა მოითხოვა.

ქსენოფილია

# ეგ რუსეთელი ქსენია ნეტავ ვის მოუქსევია?

**სექტემბრის მეორე ნახევარი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის უჩვეულო (მისთვისაც კი) პოლიტიკური აქტიურობითა თუ პიარ-აქციებით აღიბეჭდა: მარჯვნივ და მარცხნივ, ზევით და ქვევით, წინ და უკან გაცემულ-ჩამორიგებული ინტერვიუებით (საგაზეთო თუ ტელე), ნაირ-ნაირ ოფისსა თუ უნივერსიტეტში მისვლა-გამოსვლით და ა. შ. (აშშ-ში!); უჩვეულო აქტიურობით, მაგრამ ჩვეული ტრაბახის, ბაქი-ბუქისა და სიცრუის თანხლებით.**

ვფიქრობ, ეს ტყუილად როდი ხდება: საქართველოში გამოჩნდა დეკლარაცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისათვის უნდობლობის გამოცხადებისა და ამ საფუძველზე თანამდებობიდან მისი გადაყენების შესახებ. მოკლედ, ჰა და ჰა, იწყება მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტი!

როგორც დიდი ისააკ ნიუტონი გვასწავლის, ქმედება ყოველთვის იწვევს ტოლ და საპირისპირო უკუქმედებას; ჰოდა, ის პიარ-კამპანია, რომელიც მიხეილ-ბატონმა ოკეანის გაღმა აიგორა და უთუოდ აქაც, გადმოღმაც გააგრძელებს, სწორედ ხსენებული იმპიჩმენტის საპირისპიროა (ტოლობისა რა მოგახსენოთ...ძ; ზედაც სულზე მოუსწრო რუსეთელი ჟურნალისტი ქალბატონის, ვინმე ქსენია სოკოლოვას (ჩემთვისაა ვინმე, თორემ „იქ“ ეგებ ცნობილიცააძ მიერ რუსეთელივე კოლეგა ჟურნალისტისათვის ადრე მიცემულმა ტელეინტერვიუმ, სადაც საქართველოს პრეზიდენტთან დაუვიწყარ შეხვედრაზე ლაპარაკობს და რომელიც „ქებათა-ქება მიშაწმინდას“ გამოუვიდა...

მე ვერ შევუდგები მიხეილ-ბატონის მიერ აშშ-ში დაყენებული პიარ-ბუღის დაწმენდვას – ეს ჩემს „მტვერსასრუტს“ – ჩემს კალამს აღემატება. ასეთ საქმეს უკეთ იქმნენ ჩვენი ელიტური პოლიტოლოგები, თუნდაც დავით აქუბარდიას (შინაურობაში აქუსძ ტელესტუდიიდან, რასაკვირველია, მისი თამადობით, უწყვეტი აკომპანემენტითა თუ ეკრანის უზურპაციით; მე ჩემი მდაბიური თვალთახედვით მივუბრუნდები იმ ტელეინტერვიუს (ქსენია სოკოლოვასიძ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს, პირველი თურმეობითის მომარჯვებით...

თურმე მთელს მსოფლიოში, მაშრიყსა თუ მაღრიბში, არც ერთი სახელმწიფოს მეთაური არ ეგულება ისეთი ქარიზმისა, ისეთი სიმპათიური და ყურადღებიანი, როგორიც სააკაშვილია (ახალგაზრდა და მიმზიდველი ქალების მიმართ ყურადღებიანი და კიდევ მეტი რომაა, ვიცი ეს მე, ნეტავ ქვეყნის მოსახლეობისადმი იყოს ერთგვარად მაინც ყურადღებიანი... და კიდევ, ამ ქარიზმიანმა ლიდერმა ნეტავ რამდენჯერ „მიაკითხა“ ხელით ცხვირს ქსენიასთან საუბრის დროს...ძ.

თურმე მართალია, დევნილთა დასახლებებს მხოლოდ ავტომანქანის სარკმლიდან შეავლო თვალი, მაგრამ ისინი სულაც არ ტოვებდნენ პოტიომკინის სოფლების შთაბეჭდილებას და „საამო იყვნენ საცქერლად“ (არადა, პირადად რამდენს ვიცნობ დევნილს, ელემენტარულად რომ არა აქვს თავშესაფარი და „მარუხის თეთრ ლამეებს“ ხან ქუჩაში ათევს, ხან ნათესავთან და ხან კიდევ სადძ.

თურმე ხალხი აღმერთებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს (როგორ დაგწყევლო ახალგაზრდა ქალი მე ბერიკაცმა – მაგ სიმართლით იარე-მეთქი; მეც და ათიათასობით სხვაც შევდივართ ხალხში და ერთი ჩვენცა გვკითხე, ვაღმერთებთ თუ არა... რა ვუყოთ, რომ



თვითონ საქართველოს ღმერთი ჰგონია თავი, რომ რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს და არავის არცრას ეკითხება, რომ საქართველო სააკართველოდ წარმოუდგენია და სააქაო სააკაოდ... რისთვის უნდა ვაღმერთებდე – გორში „ქრესტომათიული“ სილაჩრისათვის? ქუჩაში ჟურნალისტების და მრავალ-მრავალი სხვა „ისტების“ გამოყრისათვის? ყველასი და ყველაფრის გაყიდვისათვის? იმისთვის, რომ თავსა და საკუთარ პოლიტ გუნდს აგრე გამომწვევად აძლევს გაუგონარი ფუფუნებით ცხოვრების ნებას დაქცეულ ქვეყანაში? იმისთვის, რომ ისევ ათიათასობით პენსიონერს თვეში 90 ლარი მოგვიგდო? იმისთვის, რომ რამდენიმე მკვლელობაშია ეჭვმიტანილი?... ეხ, ქსიუშა, ქსიუშა...ძ.

თურმე გაბედულად ნიშნავს ნორჩ მინისტრებს... თურმე ათასობით ინგლისური ენის მასწავლებელი ჩამოუყვანია საზღვარგარეთიდან... თურმე შუშის ხიდებსა და შუშის შენობებს აშენებს... თურმე, თურმე, თურმე...

რა ვქნა ახლა მე უვიცმა და შეუგნებელმა, რა ვიფიქრო, რომ ამ კორუფციამოსპობილ ქვეყანაში ქსენია სოკოლოვას კაი გვარიანი ქრთამი შესტენეს ამ ინტერვიუსათვის?.. შენ რას იტყვი?.. ვინ მოაქს(ენ)ია?...

**ლუკა გორგაძე.**




რა ზნე გჭირს?

# საფესტივალო ფეიერვერკი და... ჯავრის ამოყრა ნაციონალურად

**28 სექტემბრის საღამოს 8 საათზე „ივენთ ჰოლში“ (თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ფოიეშიძ დიდი ზარზეიმით გაიხსნა თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. წინასწარ გადაიკეტა „ივენთ ჰოლამდე“ მისასვლელი გზები, რომ საკონცერტო დარბაზის წინ დაგებულ უზარმაზარ წითელ ხალიჩაზე, მსოფლიოს და ქართული კინოს მოღვაწეებთან ერთად, ჩვენს გაარტისტებულ ქალაქის მერს გიგი უგულავას და იმის ძვირფას მეუღლეს, აგრეთვე ხალხისთვის ასე საყვარელ ნაციონალ-პოლიტიკოსებს იოლად გაევლო!**

**აგვისტოს ომსა და ბოლო არჩევნებში „გამარჯვებული“ ნაციონალები წითელ ხალიჩაზე ისე მიიჯგიმებოდნენ, ჰოლივუდის ვარსკვლავები გეგონებოდათ! განა, ახლა მაინც არ გჯერათ, რა მაგრები ვართო?!**

**„ივენთ ჰოლში“ მინიმუმ სამსაათიანი სიცილ-კისკისის, ჭამა-სმისა და უსაგნო ლაქლაქის შემდეგ, ალბათ, დედაქალაქის მერის ბრძანებით, ღამის 11 საათზე ქალაქის ცენტრში დასცხეს, მაგრამ რა დასცხეს! მინიმუმ ხუთასმა საარტილერო ზალპმა, „მსუბუქი“ ფეიერვერკების თანხლებით, დაზაფრა დედაქალაქი, აზანზარდა სახლები, ჩაიმსხვრა მინები, აბღავლდნენ რის ვაი-ვაგლახით ჩაძინებული ბავშვები... ქალაქის გარეუბნებიდან ატყდა ტელეფონების რეკვა: რა ხდება, თბილისის ცენტრი დაბომბესო?!**

**– არა, ნუ გეშინიათ, გიგი უგულავა ახალ ცოლთან ბიჭის შეძენას ცოტა მოგვიანებით ზეიმობს და საზღვარგარეთ გადაკარგული მიშას ჯიბრზე, ცხინვალს რომ 800 საარტილერიო ზალპი დასცხო, საზღვარგარეთელ ხელოვანთ საკუთარ ბედოვლათობას უმტკიცებსო!**

**– უჰ, მაგის და ნაციონალების დედა... იმ ათიოდე წუთში, რაც ქალაქის თავზე „ბომბები“ სკდებოდა, ბარე 500 000-მა კაცმა (ქალმაც!ძ გულით შეუკურთხა ქვეყნის დამღუპველ ამ უმწიფარ, უტიფარ და ხალხის ნერვებზე მოთამაშე ნაციონალებს. ფესტივალის გახსნაზე რომ ასეთი ბათქაბუთქი ატყდა, დახურვაზე რაღა იქნება... მით უფრო, თუ ყველაფრისმწერალი და ყველაფრისმკადრებელი ლაშა ბუღაძის სცენარით დადგმულმა სპექტაკლებმა გაიმარჯვეს...**

**როგორც გუშინ სარწმუნო წყაროდან გვაცნობეს, გადამლაშებული ფეიერვერკის და გამაყრუებელი პარადული ხმაურის გამო ახლახან გარემონტებული ფილარმონიის კედლებიც დაბზარულა და სიმწრით ნაყიდი ახალი აპარატურაც გაფუჭებულა!**

**ხუმრობა იქით იყოს და, ნაციონალები ისე ხშირად აწყობენ დედაქალაქში უაზრო, არაფრისმთქმელ ფეიერვერკებს, ეტყობა თბილისელებს სერიოზული დაბომბვისთვის ამზადებენ!**

**ვისაც თვალები დაბრმავებული აქვს, ყურით მაინც მოისმინოს და გააანალიზოს მიშას ავყიობა და პროვინციული ლანძღვაგინება ერთმორწმუნე რუსეთის მისამართით და... დარწმუნდება, რომ ხვალინდელი დღე მეტად მრუმე გვექნება.**

**მართლაცდა, ვაი ჩვენს პატრონს!**

**სპარტაკ ქობულია**



გლობუსი

# ცივილიზებულ სახელმწიფოში ხალხზე სახელმწიფო ზრუნავს

**ნეტავ თქვენი პრობლემები გვქონდეს — ინატრებდა ნებისმიერი ქართველი საფრანგეთის მასობრივი გამოსვლების შემხედვარე. გასულ კვირას მილიონობით ადამიანმა დაფარა საფრანგეთის ქალაქების ქუჩები. გამოსვლებს თან სდევდა ტრანსპორტის და სხვა დარგების მუშაკების გაფიცვებიც. გუშინდელი საკუთარი საპროტესტო გამოსვლების შემყურე საქართველოს მოქალაქეს ნაკლებად უნდა გაუკვირდეს საფრანგეთში მიმდინარე ამბები, მაგრამ ეს ერთის შეხედვით, რამეთუ გასაკვირია პროტესტანტთა რაოდენობა — სამი მილიონი და თემა — ძველი საპენსიო ასაკის დატოვება.**

სამი მილიონი ადამიანის ქუჩაში გამოყვანა იოლი საქმე არ არის, თუმცა როდესაც ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს პროფკავშირები, ძნელი საქმეც იოლი ხდება. საფრანგეთში, ისევე, როგორც ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, პროფკავშირების როლი მშრომელთა ინტერესების დაცვის საქმეში განუსაზღვრელია. საქმეში ჩახედული ორგანიზაცია სწორედ ესაა, სადაც ნებისმიერ მუშაკს, მშრომელთა ჯგუფს, თავისუფლად შეუძლია მიმართვა. პროფკავშირები აწარმოებენ მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან... პროფკავშირების გარეშე სახელმწიფო არსებობა წარმოუდგენელია, ისიც წარმოუდგენელია, რაც საქართველოში ხდება. ჩვენში პროფკავშირები ხელისუფლების დანამატია. მას წარმატებით იყენებს ხელისუფლება საკუთარი მიზნების განხორციელებისთვის, ხშირად პოლიტიკურის. მკითხველს ემახსოვრება პროფკავშირების მიერ მოწყობილი აქციები საქართველოში რუსეთის საელჩოს წინ და სხვა. საფრანგეთში სხვა ვითარებაა. ხალხისა და პროფკავშირების ერთობლივი მოქმედება ხშირად წარმატებით თავდება. რა იქნება საყოველთაო გამოსვლების შედეგად, იოლი გამოსაცნობი არ არის. შეძლებენ პროტესტანტები პრეზიდენტ სარკოზის მიერ ინიცირებული საპენსიო კანონის შეჩერებას, მომავალი გვიჩვენებს. კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა მალე დაიწყება, აღმასრულებელი ხელისუფლება პოზიციებს არ თმობს, ისე, როგორც პროტესტანტები. შემდეგი გამოსვლები 2-4 ოქტომბერს იგეგმება.

რას ითხოვენ ფრანგები? ძველი საპენსიო კანონის დატოვებას, რომლის მიხედვით პენსიაზე გასვლა 60 წლიდან შეიძლება. პროექტით პენსიაზე გასვლის ასაკად 62 წელი დგინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრანგი სრულ პენსიას 2 წლის დაგვიანებით, ანუ ნაცვლად 65 წლისა, 67 წლის ასაკში მიიღებს. საფრანგეთის მოქალაქის საშუალო თვიური პენსია 1625 ევროა — ეს მამაკაცის, ქალის — 1020. სარკოზის გადაწყვეტილებით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი თანხები დაეზოგება. აღსანიშნავია ისიც, რომ საფრანგეთის მოსახლეობა ბერდება. ასეთ დროს 60 წელი საპენსიო ასაკად ძნელად ჩაითვლება. საპენსიო ასაკი არა მარტო საფრანგეთში, იმატებს, არამედ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებშიც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საფრანგეთი სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. **მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიხედვით საფრანგეთი ერთიანი ეროვნული პროდუქციის 8.8 პროცენტს ჯანმრთელობის დაცვას ახმარს, მაშინ, როდესაც ავსტრია — 7.8 პროცენტს, ჩეხეთი — 5.8 პროცენტს... ამ საქმისთვის ევროკავშირში საშუალოდ 6.9 პროცენტი იხარჯება. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ რუსეთს — იქ გაცილებით ნაკლებს — 3.4 პროცენტს ხარჯავენ ჯანდაცვაზე, მაგრამ მომავალ სამ წელიწადში გადაწყვეტილია 440 მილიარდი რუბლის დახარჯვა, რაც სულზე, დანამატის სახით წლიურად 35 დოლარი იქნება. მიუხედავად ამისა, სხვებთან შედარებით რუსეთი მოკრძალებით გამოიყურება — 570 დოლარი წლიურად, მაშინ, როდესაც ევროკავშირში საშუალოდ ოთხჯერ მეტია, ანუ 2224, ავსტრიაში — 2.900, საფრანგეთში — 3000, ჩეხეთში — 1420.** ჯანმრთელობის დაცვაში ჩადებული ფული ხარჯი არ არის, არამედ ეროვნული ინვესტიციის ყველაზე მნიშვნელოვანი სტატიაა, აცხადებენ სპეციალისტები. აქ ჩადებული თანხა მრავალი წლის შემდეგ წარმატებით უბრუნდება სახელმწიფოს. სახელმწიფომ გამოზარდა სპეციალისტი, რისთვისაც დიდი თანხა დახარჯა. ის კი უცბად გარდაიცვალა, ჯანმრთელობაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული დანაზოგის გამო. **ცივილიზებული სახელმწიფო ხვდება, რომ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ახალგაზრდის არა მარტო მისი პირადი საქმეა, არამედ სახელმწიფოსი. ჯანმრთელობა არის საზოგადოების კაპიტალი. ჯანმრთელი, შრომისუნარიანი მოქალაქე სახელმწიფო ეკონომიკას და ბიუჯეტს გაცილებით მეტს აძლევს, ვიდრე ჯანმრთელობისთვის დახარჯული თანხა. ცივილიზებულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პროფილაქტიკის საქმეს. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა იყო საბჭოთა კავშირში დროს. იმჟამად ექვს თვეში ერთხელ რეგულარულად ტარდებოდა მოსახლეობის დისპანსერიზაცია. განსაკუთრებით მკაცრი იყო სახელმწიფო მოხელეთა სამედიცინო შემოწმება. ქვეყანას გონებრივად და ფიზიკურად ჯანმრთელი მოხელეები ესაჭიროებოდა და არა ისეთი — ფიზიკურად და სულიერად დაავადებულნი, როგორც დღეს.**



როგორ ჰგავს საქართველო საფრანგეთს. არაო, უმალ შემეპასუხება მავანი, რაც ჩემს მხრიდანაც იგივე რეაქციას გამოიწვევს. ჩემი თუ არ გჯერათ, პრეზიდენტ სააკაშვილს მაინც დაუჯერეთ — გაეროს გენასამბლეის მონაწილეებს დაბეჯითებით რომ არწმუნებდა საქართველოს მიერ სიღარიბის დაძლევაში, ეკონომიკურ წარმატებათა მწვერვალების დაპყრობაში, ერთი სიტყვით იმ საამური ცხოვრების შექმნაში, რაც მან და ნაცებმა მოუტანეს ქვეყანას. **საქართველოსა და საფრანგეთს შორის არის ერთი „უმნიშვნელო" განსხვავებაც: აქ საპენსიო ასაკთან კი არა, კონსტიტუციასთან დაკავშირებითაც არავინ გამოვა ქუჩაში. იქ, ოდნავი გადახრა მარცხნივ ან მარჯვნივ, როგორც შიდა ისე გარე პოლიტიკაში, უმალ იწვევს ფართო მასების რეაგირებას, თანაც არა სამზარეულოში, როგორც ჩვენ გვჩვევია, არამედ — ქუჩაში. გამოსვლებს ორგანიზებას პროფკავშირები უწევს. ის აწარმოებს მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან.** გავიმეორებ — სახელმწიფო სახელმწიფოდ ვერ შედგება პროფკავშირების გარეშე. გარდა ამისა — ვირტუალური წარმატებული სახელმწიფო, ისეთი, როგორიც პატივცემულმა მიხეილმა გაეროში დახატა, სახელმწიფო არ იქნება. „წარმატებული" ქვეყნის ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, რომელსაც უმალ შენიშნავს ქართულ სინამდვილეში ოდნავი ყურადღებით ჩამხედი თუნდაც ამერიკელი გადამთიელი, ისეთი, როგორიც ჟურნალ „ნიუს უიკის" ანალიტიკოსები არიან. მათ ეკონომიკურად და სოციალურად წარმატებულ საქართველოს მსოფლიოს ასეულშიც არ არგუნეს ადგილი. იმ ქვეყნის პრეზიდენტს, სადაც 4 მილიონში მილიონნახევარი, დღეში, დოლარნახევრით „ირჩენს" თავს, სადაც 800 000-სს ერთი დოლარიც არა აქვს და სადაც 800 000 პენსიონერი თვიურად, საშუალოდ, 80 ლარს იღებს, ანუ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე საარსებო მინიმუმია, სადაც ყოველდღიურად კატასტროფულად იზრდება ფასები კვების პროდუქტებზე, სხვაზე, რომ არაფერი ვთქვათ, არ უნდა ჰქონდეს უფლება შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო ორგანიზაციის წევრი 190 სახელმწიფოს წარმომადგენელი. „გონებისა და სულის რადიკალური ცვლილებით ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ სოციალურ სიმართლეს და ეკონომიკურ წარმატებას". — განაცხადა მან თვალის დაუხამხამებლად, საკუთარ „სიმართლეში" დარწმუნებულმა. **შეცდომაში შეჰყავს მსოფლიო? დიახ! იტყვის ოპოზიცია. თუ ასეა საქმე, თქვენ სად ხართ? პოლიტიკაში წამიერი დაყოვნებაც მარცხის ტოლფასია, მით უმეტეს ლეიბორისტ კირთაძის დაქადნება — საქართველოს სიმართლეზე გაეროს ჩვენ შევატყობინებთო. როდის ქალბატონო ნესტან — ყველაფერი რომ ჩაივლის? მაშინ ვიღას დააინტერესებს თქვენი ლეიბორისტული სიმართლე. სააკაშვილს უყვარს თქმა ოპოზიციის სისუსტეზე. „მე რომ ოპოზიციაში ვიყო, უმალ დავამარცხებდი ხელისუფლებასო" — ამბობს ის, პირადად მე მჯერა. ისიც მჯერა, რომ ოპოზიციონერი სააკაშვილი ნიუ-იორკშიც ჩავიდოდა, იქაურ ქართველობასაც შეკრებდა, ლოზუნგებსაც დააჭერინებდა ხელში — ძირს პრეზიდენტი სააკაშვილიო. ჩვენი ოპოზიცია აქუბარდიას ვერ გასცდა, რომლის ტელესიგნალი საბურთალოსაც არ წვდება.**

**იმედგაცრუებულმა პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა თავი მიანებეს პოლიტიკას და საზოგადოებას ექსპერტულად მოძღვრავენ. ექსპერტობა თქვენი საქმე არ არის, თქვენი საქმე პოლიტიკაა და თუ ეს არ შეგიძლიათ, თქვენც დაისვენეთ და ჩვენც დაგვასვენეთ.**

და როდესაც ესოდენ უსუსურია ოპოზიცია, სააკაშვილი თავს უფლებას მისცემს გაეროს მაღალი ტრიბუნიდან თქვას — „ჩემი მთავრობა ოსტატურად ილებდა გადაწყვეტილებას მიეცა ხალხისთვის უფლება შეეცვალათ თავიანთი ცხოვრება და სოციალური გარემო". და ხალხმაც შეცვალა — 40 წლისამ თავი დაანება სამუშაოს, სახლში დაჯდა, შრომის შედეგად, წლების განმავლობაში დაგროვილი თანხით გააგრძელა ცხოვრება, ყოველდღიურობით ტკბობა. ასე არ არის? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მსოფლიოში გინახავთ სადმე 40 წლის ასაკში ძალით გაპენსიონერებული ადამიანი, თანაც უფულობით სტრესებდახუნძლული, სრული გარანტიით იმისა, რომ ვერასდროს მიაღწევს 65 წელს და თუ მიაღწია 80 ლარზე მეტს, რომ ვერ მიიღებს? ეს საქართველოა. „წარმატებული" რეფორმების ქვეყანა — ისეთი „ყველა ადამიანს და ადამიანთა ჯგუფს რომ ეთქმოდეს სიტყვა და გააჩნდეს შანსი წვლილი შეიტანოს თავისი ერის ბედ-იღბლის წარმართვაში" — სააკაშვილი.

საქართველოს მოსახლეობის უსერიოზულესი პრობლემების ფონზე საფრანგეთის პრობლემები ედემად გვეჩვენება. **გერონტოლოგიით ცნობილ საქართველოში საფრანგეთის სოციალური სისტემის პერსპექტივაც საშურია, ანუ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, საშუალოდ — 89,1 წელი ქალთათვის და 82.7 მამაკაცებისათვის. სახელმწიფოს ზრუნვა საკუთარ მოსახლეობაზე თვალსაჩინოა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ვაიმე, ენავ!

# დაგვიანებული შეშფოთება

ამას წინათ, ბათუმში გამართულ მთავრობის გასვლით სხდომაზე, ქვეყნის პრეზიდენტმა ასეთი რამ განაცხადა: „ჩვენ მთლიანად უნდა ვიყოთ ქვეყანა, რომელიც ლაპარაკობს ინგლისურ ენაზე". ამას კვერი დაუკრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ასეთი ბრძანებით: „ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების გარეშე სტუდენტი დიპლომს ვერ მიიღებს". ისე გამოდის, მხოლოდ ეკლესიაში თუ ვილოცებთ ქართულად, თორემ, სხვაგან ყველგან ინგლისურად უნდა ვიჟღურტულოთ. ასეთი რამ ქართველთათვის არ უკადრებიათ: არაბებს, მონღოლებს, სპარსელებს, თურქებს და თქვენ წარმოიდგინეთ რუსებსაც. მათ ხელში ქართულმა ენამ მისი ბრწყინვალება, ბოლომდე სათუთად შემოინახა. მსოფლიოში არსებულ 14 ანბანს შორის ერთ-ერთი უძველესი ხომ ქართულია. ეს უცხოეთიდან მოწვეული ინგლისური ენის არც ერთ პედაგოგს არ ეცოდინება. არც ის ეცოდინებათ, ვინა ვართ და რა წარსული გაგვაჩნია. ისე, ამის გახსენება უცხოელს კი არა, ბევრ შინაურსაც არ აწყენდა. ამიტომ მათ გასაცნობად, ქართული ენის შესახებ ცნობილ მეცნიერთა რამდენიმე გამონათქვამს მოვიტან:

ინგლისელი ორიენტალისტი უილიამ ედუარდ დავიდ ალენი ამბობს: „ქართული ენის ბგერათა სიუხვესა და მრავალფეროვნებას ქართული ანბანი სრულად და ზუსტად გამოხატავს: ყოველ ცალკეულ ბგერას ცალკეული ასო-ნიშანი შეესაბამება.

ყველა ასო-ნიშანი ზუსტად და მკაფიოდ გამოითქმის; ამ თვალსაზრისით ვერც ერთი სხვა ანბანი ქართულ ანბანს ვერ შეედრება".

რუსი ენათმეცნიერი პ. უსლარი კი წერს: „ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილი ანბანია არსებულ ანბანთა შორის, ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია. ყველა ევროპული ენა ერთი დიდი სირთულის წინაშე დგას, — ესაა ორთოგრაფია. ქართველთათვის, თავიანთი სრულყოფილი ანბანის წყალობით, ეს სირთულე თითქმის არ არსებობს".

მსოფლიოში აღიარებული დიდი ქართველი ენათმეცნიერი ნიკო მარი წერს: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთი ევროპისა, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ასე მდიდარია ქართული. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა".

ერთსაც ვიტყვი და ამით დავამთავრებ. ათასკაციანი ინგლისურენოვანი „დესანტის" გადმოსხმა საქართველოში ცოტა უხერხული და უკადრებელი ხომ არ არის. ადრე, ჩვენ თუ არ გვყავდა ათასობით მოხალისე უცხოელი მასწავლებლად ჩამოყვანილი საქართველოში, ამიტომ, ჩვენმა ძველმა თუ ახალმა მოღვაწეებმა ქართულად ვერ თარგმნეს: შექსპირი, ბაირონი, ჯეკ ლონდონი, დრაიზერი, გოეთე, ბალზაკი, დიუმა და ბევრი სხვა?

დურმიშხან ცინცაძე

ქველმოქმედება

***„საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ოფისში დილიდან ყველა თანამშრომელი დატვირთული მოდიოდა. საჩუქრებს ყველა მზრუნველად აწყობდა სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის. საკვები პროდუქტებით, საკანცელარიო ნივთებით, წიგნებით, საბავშვო ჟურნალებით, წამლებით და ტკბილეულით სავსე იყო თითოეული სასაჩუქრე ყუთი. სამზადისი გვიან ღამით დასრულდა. გადაწყდა, რომ მეორე დღეს, დილით ადრე ყაზბეგის რაიონის ყველაზე მაღალმთიან და ხელმოკლე სოფელ ყანობს უნდა ვწვეოდით.***

# აქ ცხოვრება გმირობის ტოლფასია!

როგორც კი მზე ამოიწვერა, ყველა მზად იყო ყაზბეგის ხეობაში გასამგზავრებლად. გზა საკმაოდ ვრცელი, გზის საფარის დიდი ნაწილი კი საკმაოდ დაზიანებული აღმოჩნდა.

შუადღის 12 საათი იქნებოდა, როცა „საქართველოს ქალები“ სოფელ ყანობს მიადგნენ. თერგის მარცხენა მხარეს იმდენად იყო სამანქანო გზა ჩამოშლილ-ჩამონგრეული, რომ რამდენიმე წუთის ნაცვლად, ნახევარი საათი დაგვჭირდა ყანობის სკოლამდე მისასვლელად.

მდინარე თერგის ნაპირას გაშენებულ პატარა სოფელს, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა, ახლა ძალიან უჭირს. როგორც ვთქვით, სოფლამდე მისასვლელი გზა დაზიანებულია. ზამთარში, როცა მთაში დიდი თოვლია, ამ გზით სარგებლობა ჭირს და ცენტრთან დაკავშირება ორი თვით მაინც შეუძლებელი ხდება.

მოსახლეობას არ აქვს სამუშაო, ამიტომ გაჭირვებისა და შიმშილის დასაძლევად ხალხი ქალაქში გარბის. არ ჰყავთ ექიმი. ის, ვინც ავად ხდება, საკუთარი თავის იმედად რჩება. სოფლის ერთადერთი მონაპოვარი ავტობუსია, თუმცა უგზოობის გამო ვერ ახერხებს სოფლამდე ასვლას. მგზავრებს ტვირთიანად ორი-სამი კილომეტრის გავლა ფეხით უწევთ. თითოეულ ოჯახს პატარ-პატარა ბოსტანი აქვს, თუმცა ზამთრისთვის სამყოფი პროდუქტი ვერ მოჰყავთ. სოფელი მესაქონლეობით ირჩენს თავს, დანაზოგ ყველს კი სხვადასხვა პროდუქტზე ცვლიან.

ყანობში დასაქმების ერთადერთი ადგილი სკოლაა, სადაც სულ 8 მოსწავლე და 9 პედაგოგია (მათგან ორი რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, მეზობელი სოფლებიდან დადის).

**ნონა ღუდუშაური, ყაზბეგის რაიონის სოფელ ყანობის საჯარო-საბაზო სკოლის დირექტორი:** „ჩვენი სოფელი ალპური ზონაა და კლიმატი მოსახლეობას დიდ პრობლემებს უქმნის, მოსავალი მცირე რაოდენობით მოდის და ზამთრამდე არ გვყოფნის. არ გვაქვს გზები, რაც კიდევ უფრო გვიმძიმებს ყოფას, წყალი წინა წლებშიშემოგვიყვანეს, მაგრამ სკოლამდე არ ამოიყვანეს, სხვა ქსელი სჭირდებაო. წინა წლებიდან მოყოლებული ბავშვთა რაოდენობა ნელ-ნელა მცირდება. ჯერ 39 ბავშვი გვყავდა, მეორე წელს – 25, შემდეგ – 20 და ბოლოს 15-დან 8 დაგვრჩა.

სკოლა 9-წლიანია, რომლის დამთავრების შემდეგ ბავშვები სტეფანწმინდის გიმნაზიაში გადიან სრულ კურსს. ამჟამად არ გვაქვს მე-2, მე-3, მე-5 და მე-9 კლასები, თუ ასე გაგრძელდება, სკოლა შეიძლება დაიხუროს კიდეც! მეზობელ სოფელში ასე გაუქმდა დაწყებითი სკოლა. მოსწავლეები ჩვენს სკოლაში გადმოვიდნენ, მაგრამ ერთ დღეს, როცა ბავშვები გაკვეთილებზე ისხდნენ, მოულოდნელად ზვავი ჩამოწვა და გადმოსასვლელი გზა დააზიანა. შეშინებულმა მშობლებმა ბავშვები სხვა სკოლაში გადაიყვანეს.

მთელს რეგიონში სულ 7 სკოლაა, 5-სახელმწიფო და 2 – კერძო. თუ ეს სკოლებიც დაიხურება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მთის სოფლები მთლიანად დაიცლება“.

ქალბატონი ნონა ძალიან ღელავდა, თითოეულ სიტყვაში დიდი დარდი და გულისტკივილი იგრძნობოდა. ისიც აღინიშნა, ყანობის მოსახლეობასთან არასოდეს არავინ არ ჩამოსულა. ხელისუფლების შეცვლას დიდი იმედით შეხვდნენ, თუმცა ამაოდ. მათი ყოფით არავინ დაინტერესდაო.

ასეთი ლამაზი დღე სოფელ ყანობის სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ აჩუქა. ასოციაცია, დაფუძნების დღიდან – 1992 წლიდან მოყოლებული, ხშირად აწყობს ასეთი საქველმოქმედო გასვლებს. თბილისში აქვთ უმწეოთა სასადილო, სადაც ყოველდღიურად 55 მოხუცს უფასოდ ემსახურებიან. ასოციაციის დანაზოგი თანხებით სისტემატურად ეხმარებიან 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, აღრიცხვაზე აიყვანეს ეპილეფსიით დაავადებულის ათობით ოჯახი და ძვირად ღირებულ მედიკამენტებს ყოველთვიურად უფასოდ გასცემენ. ეხმარებიან სმენადაქვეითებულ ბავშვებს, მიუსაფარ ბავშვთა სახლებს, სკოლა-ინტერნატებსა და ქუჩის ბავშვებს.

ასოციაციის თანადგომით, უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ და უფასო ჯანმრთელობის პოლისები გადასცეს. ასოციაცია მზრუნველობს საქართველოს მთიანი სოფლების სკოლებს, განსაკუთრებით კი მათ, სადაც მოსწავლეთა კონტინგენტი სულ უფრო მცირდება და სკოლებს დახურვა ემუქრება.

**მაია კვეზერელი-კოპაძე, ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარე:** „ჩვენი ორგანიზაცია მთაში ასეთ გასვლებს ხშირად აწყობს.

15 სექტემბერს სწავლა დაიწყო და გვინდოდა ეს დღე ხელმოკლე ბავშვებისთვის მიგველოცა, ამიტომ გადავწყვიტეთ ხევის ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული სოფლის მონახულება, დავუკავშირდით იქაურ რესურსცენტრს და, მათი რჩევით, სოფელ ყანობი მოვინახულეთ.

მოსწავლეებსა და პედაგოგებს საკვები პროდუქტები, საკანცელარიო ნივთები და სამოსი ჩამოვუტანეთ. სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკა, ამიტომ რამდენიმე ქართული წიგნი საჩუქრად გადავეცით და ბიბლიოთეკის შექმნაშიც აუცილებლად დავეხმარებით. საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო ზამთარში სოფელში რამდენიმე ოჯახი რჩება, აქ პედაგოგობა გმირობის ტოლფასია! არადა, მთის შენარჩუნება აუცილებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქალაქის საწინდარია. ჩვენი ორგანიზაცია ყველას მოუწოდებს, დაეხმარონ სოფლის სკოლებს, განსაკუთრებით კი – მთას!“

**...ემოციით სავსენი გერგეტის სამების მონასტერს ვეწვიეთ, ბერ-მონაზვნებთან მოწიწებული შესაწირი დავტოვეთ, ტაძარი მოვილოცეთ და გზას უკან გამოვუყევით. ნანახით შეძრწუნებული ვსაუბრობდით ხევის გასაჭირზე, ის, რაც ჩვენ ვნახეთ, მხოლოდ ხევის პატარა ნაწილია, ხალხის გასაჭირზე ფიქრით თერგიც თითქოს დაუნდობელია. ასე უჭირს დიდი მწერლის – ალექსანდრე ყაზბეგის კუთხეს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევაც განსაკუთრებით შეეწევა პატრიარქის მშობლიურ მხარეს.**

თინათინ ბორცვაძე,
„სრ“ სპეც. კორ

**ავტორის ფოტოები.**





წლიური სიმპოზიუმი

# ქართველი მეცნიერის კიდევ ერთი აღიარება



**მიმდინარე წლის 9-12 სექტემბერს გერმანიის ქალაქ კიოლნში ჩატარდა კლინიკური და ექსპერიმენტული ჰიპერთერმიის საერთაშორისო საზოგადოების წლიური სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ევროპის, ამერიკის და აზიის მრავალი გამოჩენილი მეცნიერი და კლინიცისტი.**

საქართველოდან სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ი.ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის და მეტაბოლიზმის განყოფილების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნოდარ მითაგვარია,** რომელიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში ამერიკელ კოლეგებთან ერთობლივად იკვლევს ჰიპერთერმიის მოქმედებას თავის ტვინის სისხლის მიმოქცევასა და, ზოგადად, ნერვულ ქსოვილზე. სწორედ ამ პრობლემას ეხებოდა პროფ. ნ. მითაგვარიას მოხსენება, რომელიც მან წარუდგინა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებას ქ. კიოლნში. სამეცნიერო სხდომების დასრულების შემდეგ შედგა ამ საზოგადოების საორგანიზაციო სხდომა, რომელზეც პროფესორი ნოდარ მითაგვარია ერთხმად იქნა არჩეული საზოგადოების პრეზიდენტად, მასთან ერთად აირჩიეს აგრეთვე სამი ვიცე-პრეზიდენტი: ამერიკიდან პროფესორი ჯეიმზ ბიჩერი , ევროპიდან – პროფესორი მიშელ დე სიმონე (იტალია) და აზიიდან – პროფესორი ქსიაოფენგ ჩჟანგი (ჩინეთი), ხოლო საზოგადოების მდივნად - პროფესორი ხოლგერ ვინერი (გერმანია).

კლინიკური და ექსპერიმენტული ჰიპერთერმიის საერთაშორისო საზოგადოების წესდების თანახმად, რიგითი წლიური სიმპოზიუმი უნდა ჩატარდეს საზოგადოების პრეზიდენტის ქვეყანაში, ანუ მომდევნო სიმპოზიუმი 2011 წლის სექტემბრში გაიმართება საქართველოში.

**გურამ ბექაია,**
**პროფესორი, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

**სურათზე: საერთაშორისო საზოგადოების ახალი პრეზიდენტი პროფესორი ნოდარ მითაგვარია (მარცხნივ) და ვიცე-პრეზიდენტი ამერიკის მხრიდან პროფესორი ჯეიმზ ბიჩერი (მარჯვნივ).**

ინფორმაცია

## ქართველმა მეცნიერებმა უნიკალური აპარატურა შექმნეს

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე „დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტს“ ეწვივნენ და ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი უნიკალური გეომულტიფუნქციური აპარატურა GMSYS 2009 დაათვალიერეს.**

**ქართველი გეოფიზიკოსების მიერ შექმნილი ხელსაწყო სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება და მისი გამოყენება შეიძლება როგორც სეისმოლოგიურ დაკვირვებებში, ასევე გეოფიზიკის, გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების სფეროებშიც. უცხოური ანალოგებისგან ის უფრო მაღალი თავსებადობით, მოქნილობით, დაბალი ღირებულებითა და მოდერნიზების შესაძლებლობით გამოირჩევა.**

**ქართველი მეცნიერების მიერ გამოგონილი გეომულტიფუნქციური სისტემა უკვე შეისყიდა ნატომ და ნატოს წევრმა ქვეყნებმა, სისტემის შესყიდვის სურვილი ასევე გამოთქვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და თურქეთმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ქველმოქმედება

# მიეც თვალნაკლულთ სინათლე...

**ჟურნალისტური კალამი თვალსაჩინო ოფთალმოლოგის გია (გიორგი) ჯავრიშვილის საქველმოქმედო-სასიკეთო საქმიანობამ „ამაჩქამებინა“, ვისი დასტაქრული მარჯვენის მადლიც საკუთარ თავზე (თვალზე!) გამოვცადე...**

საქართველოს მეცნიერებათა პროფკავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ჯანსულ ლორთქიფანიძემ მიამბო:

– გიორგი ჯავრიშვილის საქველმოქმედო ფონდი 2009 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს. ბატონი გია თვითონ დაგვიკავშირდა შესანიშნავი შემოთავაზებით – მეცნიერებათა აკადემიის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს, რომელნიც ასაკით 60 წელს აღემატნენ და კატარაქტის ოპერაციას საჭიროებდნენ, ფონდი უფასო დახმარებას გაუწევდა.

ჩვენ დავიწყეთ პოტენციურ პაციენტთა მოძიება სამეცნიერო დაწესებულებებში და 24-კაციანი სია წარვადგინეთ. სერიოზული ციფრია, მაგრამ ფონდის ხელმძღვანელმა არ იზევრა და შემხვედრი ქმედებებიც წამოიწყო. უკვე 8 ოპერაციაა გაკეთებული (ბატონ ჯანსულთან შეხვედრის შემდეგ ნაოპერაციევთა რიცხვი უთუოდ გაიზრდებოდა – **თ. ე.**).

აკადემიის სიკეთე ერთია და გია ჯავრიშვილის კლინიკის „ოფთალმიჯის“ (პეტრე ქავთარაძის ქუჩაზე სამკურნალო კომბინატის ვეებერთელა შენობაში განთავსებულის) მთელი პერსონალის გულისხმიერება მეორე. იქ მისულს ისეთი გაკრიალებულ-გაწკრიალებული გარემო დაგვხვდებათ, თითოეული თანამშრომელი ისე ყურადღებიანია, რომ უმალვე იმედიანად განეწყობით და ეგ იმედი სულ ბოლომდე არ გაგიცრუვდებათ – ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც.

ბატონ გიასთან რამდენჯერმე საუბრის შემთხვევა მომეცა, მისი დიდი დაკავებულობის მიუხედავად. „დამატებით“ ჩვენი ძვირფასი კოლეგა-ჟურნალისტის, გამორჩეული იუმორისტის, განსვენებული ვახტანგ ჯავრიშვილის ვაჟიშვილი აღმოჩნდა, რითაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მესიმპათიურა. მამის ავტორობით წიგნიც მაჩუქა – „ანდაზები, ნარკვევები, იგავ-არაკები“, რომლის გამოცემა მშობლის დაბადებიდან 90 წლისთავისათვის მიუძღვნია.

კატარაქტის სულ უმტკივნეულო ოპერაციის დროს გადასაფარებლის ქვეშ ისე გატრუნული ვიწექი, რომ ოპერატორი გია ჯავრიშვილი კიდევაც შემეხუმრა – ბატონო თამაზ, ლექსს ხომ არ თხზავთო... 35 წუთში „თავისუფალი“ ვიყავი და წავიდა „პოსტოპერაციული“ დღეები, მკურნალი ექიმის, მომხიბვლელი ქალბატონის თამარ მიმინოშვილის, ახალგაზრდა ექთნების მარიას, ხატიას, ქეთინოს და კიდევ ერთი ჩინებული სპეციალისტის, ექიმ არსენ შურღაიას (რომელსაც „გადამაბარა“ შვებულებაში წასულმა ქალბატონმა თამარმა) ყურადღებითა და მზრუნველობით ნიშანდებული. როგორ არ ვიყო ყველას მადლიერი, როცა ნაოპერაციევი თვალი 20-პროცენტიანი მხედველობიდან 50 პროცენტზე ასულა. სწორედ ამ სინათლემოცემული თვალის წყალობით შევძელი ვახტანგ ჯავრიშვილის ესოდენ საგულისყურო წიგნის გადაკითხვა და დიდი სიამოვნებაც მივიღე; საგულისხმოდ ისიც მეჩვენა, რომ არაერთი ანდაზა, ნაკვესი თუ იგავ-არაკი ჟამს არ გაუხუნებია და კვლავ შთამბეჭდავად გაისმის: „ვაი იმას, ვინც მხოლოდ სიკვდილამდე ცოცხლობს“; „ცხოვრება დიდებული წიგნია, თუ მკითხველად ვარგიხარ“; „ცოდნა ზღვაა, რომელიც კაცს არ ახრჩობს“; „მტერი ვერ მტერობს, თუ ერი ეროვნებს“; „ნაღდი მბრძანებლობს, ნისია იხვეწება“; „თანამდებობის სკამმა ჩაიცინა: ტანმძიმეს ვუძლებ, თავმსუბუქს ვერაო“; „მოპარული მურაბა და სიყვარული ორმაგად ტკბილიაო“...

„ოფთალმიჯს“ მივუბრუნდეთ. გია ჯავრიშვილის კლინიკა მალე ახალ შენობაში გადავა დიღომში. კლინიკის დერეფანში გამოფენილი ნახაზების მიხედვით ეს იქნება სრულიად თანამედროვე ნაგებობა, უახლესი ტექნიკითა თუ ტექნოლოგიებით აღჭურვილი. გია ჯავრიშვილის ფონდის სასიკეთო საქმეებს მეტი გასაქანი, მასშტაბები და „სივრცე“ მიეცემა და ქველმოქმედება მაშინ ნახეთ...

**თამაზ ებანოიძე**

ფორუმი

***1 ოქტომბერს თბილისში, „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიხსნება ეროვნული კონგრესი ალერგოლოგიასა და იმუნოლოგიაში (კონგრესის პრეზიდენტი აკადემიკოსი რევაზ სეფიაშვილი), რომლის მუშაობაში მონაწილეობენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ალერგიის მსოფლიო ორგანიზაცია (WAO), იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია (IPO), ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემია (EAAC), იმუნოლოგთა ასოციაციის მსოფლიო გაერთიანება (IUIS) და სამედიცინო დარგის რამდენიმე ასოციაცია.***

# ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა VI ეროვნული კონგრესი

კონგრესზე განიხილავენ ალერგიის, ასთმისა და იმუნოდეფიციტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს, რაც დიდად შეუწყობს ხელს ახალი სამეცნიერო კონტაქტების დამყარებას, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უახლესი მეთოდების დანერგვას.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, პროფესორები: სამი ბაჰნა, ისააკ მელამედი (აშშ), მოჰამედ დჰა (ჰოლანდია), ვიქტორია კარდონა (ესპანეთი), ნინელ ბერეჟნაია (უკრაინა), ელენა კორნევა (რუსეთი), ტოდორ პოპოვი (ბულგარეთი), პოლ პოტერი (კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), იაკობ ნაპარსტეკი, ბენჯამინ ვოლოვიცი (ისრაელი), ფერდინანდ ნიკოლეტი (იტალია) და სხვ. დაგეგმილია კოსმოსური ტელეხიდი.

კონგრესის პირველ დღეს გაიმართება ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის (WAO) ვებინარი საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციასთან (GAACI) ერთად. ფლორიდიდან, ქალაქ ტამპის უნივერსიტეტიდან ლექციას წაიკითხავს ალერგიის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, პროფ. დიკ ლიუკერი. ასეთი რამ პირველად ტარდება.

კონგრესის ფარგლებში ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრში ჩატარდება პრე-კონგრეს კურსი – „სპეციფიკური იმუნოთერაპია“.

გაიმართება GAACI-ს საპატიო პრეზიდენტის ნოდარ გოგებაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, ასევე გამოჩენილი მეცნიერების: პროფ. იური მალაშხიას, აკადემიკოსების ვლადიმერ ბახუტაშვილისა და გურამ გურგენიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქტო ლექციები.

1-2 ოქტომბერს გაიმართება სიმპოზიუმები – „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“, „მიღწევები პედიატრიულ ალერგოლოგიაში“, „მტკიცებულებაზე დაყრდნობილი პედიატრია – თანამედროვე სტანდარტები“, „რესპირაციული მედიცინის თანამედროვე სტანდარტები“ და სხვ.

3 ოქტომბერს, კონგრესის მონაწილენი მუშაობას წყალტუბოში განაგრძობენ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში გაიმართება ინსტიტუტის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია და პლენარული სხდომა.

სტუმრები სოფ. ყუმისთავში ეწვევიან ულამაზეს კარსტულ მღვიმეს, რომლის მიკროკლიმატის შესწავლაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გეოგრაფიის, გეოფიზიკისა და სამთო მექანიკის ინსტიტუტებთან ერთად წყალტუბოს ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ.

**ჯუმბერ ჯიშკარიანი.**

SIC!

***არასამთავრობო ორგანიზაცია-კავშირი „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) 2003 წელს შეიქმნა. მასში იმთავითვე გაწევრიანდა 500-ზე მეტი ადამიანი ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახებიდან. კავშირის მიზანია აფხაზეთში ომის შედეგად დარღვეული ოჯახების მთლიანობისა და აფხაზებსა და ქართველებს შორის ნათესაური კავშირების ურთიერთნდობის აღდგენა. მართლაც ამ 7 წლის განმავლობაში ამ კავშირის ძალისხმევით 4000-მდე ქართულ-აფხაზური ოჯახი და მათი ნათესავები შეხვდნენ ერთმანეთს.***

***ამ ხნის განმავლობაში ამ კავშირს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები აფინანსებდნენ. ამ კავშირისათვის, რომელიც უდიდეს კეთილშობილურ საქმეს აკეთებს. დღესაც დაფინანსება პრობლემურ საკითხად რჩება. 2009 წლის ივნისიდან ერთი წლის განმავლობაში ეს კავშირი უნდა დაეფინანსებინა „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდს“, თუმცა ამ ფონდმა ეს თანამშრომლობა 3 თვით ადრე შეწყვიტა. არადა ამ ფონდის კოორდინატორი ზაალ ანჯაფარიძე ჩემთან ერთად ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა ამ კეთილშობილურ საქმეებზე, რასაც „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ აკეთებდა, ძალიან შეაქო რეზო ბენდელიანი და გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ არ აფინანსებდა ხელისუფლება. მიუხედავად ამისა ამ ორ ორგანიზაციას შორის მაინც მოხდა გაუგებრობა.***

# „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“ და „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

„ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ დირექტორმა ქეთი ვაშაკიძემ ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ ხელმძღვანელს რეზო ბენდელიანს: „პროექტის მიზნების მისაღწევად „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ მიერ თქვენი ორგანიზაციისთვის გადმორიცხული თანხა შეადგენს 33.483 დოლარს, ამ თანხიდან ჩვენ არ ვამტკიცებთ თქვენს მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას 6900 დოლარის ოდენობით და ვითხოვთ მის უკან დაბრუნებას. მოთხოვნილი თანხა მოიცავს.

1. აფხაზური მხრიდან პროექტის კოორდინატორის ხელფასს, რომელიც მას არასოდეს მიუღია.

2. ტრენერ-ინსტრუქტორის თვიურ ანაზღაურებას (ტრენინგი ჩატარდა მხოლოდ ორჯერ).

3. ოფისის ქირა ზუგდიდში, რომელიც ფაქტიურად არ იყო დაქირავებული.

ვითხოვ მხოლოდ იმ თანხის დაბრუნებას, რომლის თაობაზეც ინფორმაციის გადამოწმება უკვე მოხდა და რომელზეც საჭიროების შემთხვევაში შევძლებთ სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენას“.

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი ყოველთვის წინასწარ გამიზნულ პროვოკაციად მიიჩნევს. მან წარმოადგინა ყველა ის დოკუმენტი, რომელიც აბათილებს „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის“ ბრალდებას.

პირველი ბრალდება – „აფხაზური მხრიდან პროექტის კოორდინატორის ხელფასი, რომელიც მას არასოდეს მიუღია“. აფხაზური მხრიდან კოორდინატორი გახლავთ თინა ქეცბაია. არსებობს ხელშეკრულება „ქართულ-აფხაზურ შერეულ ოჯახებსა“ და აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ასოციაციას“ შორის, რომლის ხელმძღვანელიცაა თინა ქეცბაია. ამასთან, არსებობს თინა ქეცბაიას მიერ დაწერილი განცხადება, სადაც ის ითხოვს 1000 ლარის მიღებას და ეს თანხა რეზო ბენდელიანმა მას გადასცა. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების გაფორმება და თანხის გაცემა მოხდა ერთსა და იმავე დღეს .2009 წლის 1 ივლისს. ჩემთან სატელეფონო საუბარში თინა ქეცბაიამ არ უარყო ფულის მიღება, მაგრამ მისი განცხადებით ეს ფული მას „ევრაზიის ფონდიდან“ არ მიუღია. არადა ამ პერიოდში „ქართულ-აფხაზურ შერეულ ოჯახებს“ მხოლოდ და მხოლოდ „ევრაზიის ფონდი“ აფინანსებდა.

მეორე ბრალდება: „ტრენერ-ინსტრუქტორის თვიური ანაზღაურება“. თითქოს ტრენერ-ინსტრუქტორმა მხოლოდ ორი ტრენინგი ჩაატარა და თანხები კი უტრენინგოდ მიიღო.

ამ შეხვედრების ტრენერ-ინსტრუქტორი გახლავთ ქალბატონი ქრისტინა კილანავა, რომელიც „ევრაზიის განვითარების ფონდის“ დირექტორის სახელზე დაწერილ განცხადებაში ამბობს, მან ჩაატარა პროექტით გათვალისწინებული ყველა სემინარ-ტრენინგი. ყოველთვიურად ორგანიზაციის თავმჯდომარისაგან ღებულობდა პროექტით დამტკიცებულ თანხას:

საგულისხმოა გალის რაიონის სოფ. ოტობაიას მკვიდრის რეზო ჩიკვატიას მიერ „ევრაზიის ფონდის“ დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადება: „2009 წლის ივნისიდან 2010 წლის მარტამდე აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის თინა ქეცბაიას დავალებით მონაწილეობას ვიღებდი პროექტის განხორციელებაში. ჩემს მოვალეობაში შედიოდა ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში ნათესავების ჩაყვანა, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ ტრენინგ-სემინარებში“.

მესამე ბრალდება: „ოფისის ქირა ზუგდიდში, რომელიც ფაქტობრივად არ იყო დაქირავებული“.

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ ოფისი მდებარეობს ქ. ზუგდიდში, ბესიკის ქუჩა 19-ში, რასაც ადასტურებს ამ სახლის მეპატრონე ქალბატონი ურიტა ასვანუა. მის მიერ „ევრაზიის ფონდის“ დირექტორის სახელზე გაგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ 2009 წლის 25 მაისს შენობა-ნაგებობების იჯარით ქირაობის ხელშეკრულების საფუძველზე გაქირავებული ჰქონდა მისი კუთვნილი სახლი რეზო ბენდელიანზე, რისთვისაც ყოველთვიურად ხელშეკრულების თანახმად ღებულობდა 250 დოლარს (ოფისის არსებობას ამტკიცებს ასვანუას 5 მეზობელიც). „ევრაზიის ფონდის“ კოორდინატორმა კომენტარზე თავი შეიკავა, იმ მოტივით, რომ ის არ არის უფლებამოსილი კომენტარი გააკეთოს პრესისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით.

„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ კავშირის ხელმძღვანელის რეზო ბენდელიანის განმარტებით მავანნი და მავანნი ძალიან ცდილობენ მას სახელი გაუტეხონ და შეაწყვეტინონ თავისი საქმიანობა. „ჩემი ორგანიზაციის დაპირისპირება „ევრაზიის ფონდთან“ დაიწყო მას შემდეგ, როდესაც ამ ფონდის ბუღალტერმა აფხაზეთიდან თავიანთ ნათესავებთან შესახვედრად და ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის მისაღებად გადმოსულ ადამიანებს მოსთხოვა მივლინების ფურცლები. რომელ მივლინების ფურცლებზეა ლაპარაკი, როდესაც ეს ადამიანები პარტიზანულად გადმოდიან ენგურს გაღმა, უხდებათ ათასგვარი დაბრკოლების გადალახვა. ან კიდევ, მივლინების ფურცლებს მათ ვინ მისცემდა, რომელი სახელმწიფო მოხელეები ისინი იყვნენ. როდესაც ამის შესახებ მე მას ავუხსენი და მივუთითე, რომ ამგვარი პროვოკაციული განცხადებები უარყოფითად იმოქმედებდა შემდგომ ურთიერთობებზე. ის ძალიან განაწყენდა და ამის შემდეგ პროექტიც ვადაზე ადრე შემიწყვიტეს და აბსურდული ბრალდებებიც წამოაყენეს. ეს არის მიზანმიმართული პროვოკაცია. თინა ქეცბაიამაც „ევრაზიის ფონდისგან“ მიიღო დავალება. ეს ქალბატონი ათასგვარ ჭორს ავრცელებს ჩემზე, რათა მე ვერ შევძლო ურთიერთობა აფხაზებთან. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩემმა ორგანიზაციამ ვერ მიიღოს დაფინანსება“ – აღნიშნა რეზო ბენდელიანმა.

რას არ გაიგებს ადამიანი! – აფხაზეთიდან რუსებს და აფხაზებს გამოქცეული, გამოპარული ტყე-ტყე და ბილიკებით ზუგდიდის სოფლებამდე გამოღწეული, ნათესავებთან შესახვედრად გადმოსულ ადამიანებს მივლინების ფურცლები მოსთხოვო, სად გაგონილა?

ორივე მხარის სურვილია საკითხი სასამართლოს გზით მოგვარდეს. თუ რომელი მხარე მიმართავს პირველი სასამართლოს, მალე გაირკვევა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ბურჯანაძე: სააკაშვილი გაეროს ტრიბუნიდან ცრუობდა



**პარლამენტის ექს-სპიკერმა, ოპოზიციური „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ორშაბათს ბრალი დასდო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სიცრუეში გაეროს გენერალური ასამბლეის 65-ე სესიის ტრიბუნიდან**

მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება სიღარიბის დაძლევის შესახებ, არ შეესაბამება მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რომლის შეფასებითაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 60 პროცენტი სიღარიბეშია.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ უცხოეთიდან კაპიტალდაბანდებებისა და ეკონომიკის განვითარების დონით საქართველო ზრდის ტემპებით ჩამორჩება მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთს.

„გაეროს ტრიბუნიდან სააკაშვილმა განაცხადა, რომ მამაცები ყველაფერს აკეთებენ და საუბრობდა მამაც ლიდერებზე“, – განაგრძნო ნინო ბურჯანაძემ. – სააკაშვილის მხრიდან ეს არის ცინიზმი, როდესაც იგი ლაპარაკობს ლიდერების სიმამაცეზე. ორი წლის წინათ მთელი მსოფლიო ხედავდა, თუ გორში როგორ დაფორთხავდა მიწაზე, როდესაც გაიგონა თვითმფრინავების ხმაური შეიარაღებული კონფლიქტის დროს“.

ბურჯანაძის სიტყვებით, სააკაშვილი, როდესაც გაეროში ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ საქართველო ეს არის „ლაბორატორია ექსპერიმენტებისთვის“, იყო ცინიკური, ვინაიდან სინამდვილეში ის ექსპერიმენტს უწყობს თავის ქვეყანას, როგორც „საცდელ ბაჭიებს“.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# საქართველოს ოპოზიცია სააკაშვილის მორჯულებას ევროპაში აპირებს

**საქართველოს ოპოზიციურმა პარტიებმა მიმართეს ევროკავშირის პრეზიდენტსა და ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის ხელმძღვანელს თხოვნით – მოახდინონ ზემოქმედება საქართველოს ხელმძღვანელობაზე. ოპოზიციონერები მოითხოვენ შეიტანონ ცვლილებები, რომლებიც უკრძალავენ ექს-პრეზიდენტს დაიკავოს პრემიერ-მინისტრის პოსტი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მიხეილ სააკაშვილი ამზადებს კონსტიტუციურ საფუძველს იმისთვის, რათა მართოს ქვეყანა 2013 წლის შემდეგაც**

„ჩვენ შესაბამისი თხოვნით მივმართავთ ევროსაბჭოსა და ვენეციის კომისიასაც, მოახდინოს ზეგავლენა საქართველოს ხელმძღვანელობაზე, რათა გამოწვეული იქნეს პარლამენტიდან საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტი“, – განაცხადა 28 სექტემბერს პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. „ჩვენ მოვუწოდებთ ბოროტ სააკაშვილს გაიწვიოს კონსტიტუციური ცვლილებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელოდება ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები“, – დაუმატა მან.

როგორც მიმართვაშია ნათქვამი, „ამჟამად საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებები ემსახურება იმას, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული საპრეზიდენტო ორი ვადის გასვლის შემდეგ (2013 წლის იანვარიძ ამჟამინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეძლოს დაიკავოს პრემიერ-მინისტრის პოსტი. თუ კონსტიტუციაში არ იქნება შეტანილი დებულება, რომელიც უკრძალავს ექს-პრეზიდენტს ზემოაღნიშნული პოსტების დაკავებას, „ევროპულ სივრცეში ეს გახდება დე იურე პრეცენდენტი, რომელიც აკანონებს დიქტატურას“, – აფრთხილებენ ოპოზიციონერები.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ, პარტია „სამართლიანი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა ზურაბ ნოღაიდელმა, პარტიის „საქართველოს გზა“ ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა, პარტიის „ჩვენი საქართველოს თავისუფალი დემოკრატები“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ, ლეიბორისტული პარტიიის ხელმძღვანელმა შალვა ნათელაშვილმა და სხვებმა.




შეგახსენებთ, რომ 24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა პირველი წაკითხვით მიიღო ქვეყნის პირველი კონსტიტუცია, რომელიც ახდენს საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტო რესპუბლიკად ტრანსფორმირებას. ოპოზიციამ ვერ შეძლო დებულების პროექტში ცვლილების შეტანა სახელმწიფოს მეთაურისთვის პრემიერის პოსტის დაკავების აკრძალვის შესახებ 5 წლის განმავლობაში პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გასვლიდან. ევროსაბჭოსთან არსებულმა ვენეციის კომისიამ მოიწონა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, ვინაიდან პარლამენტის როლის გაძლიერება შეესაბამება ევროპის ტრადიციებს.

Коммерсантъ

# აღორძინებადი საქართველო მოსკოვს მოუწოდებს, ჩამოხსნას „ახალი რკინის ფარდა“

**მეზობელი რუსეთიდან შემოჭრის, განადგურებისა და დაშინების ნაწილობრივი ოკუპაციის 2 წლის შემდეგ პატარა, მაგრამ მამაცი და მგზნებარე საქართველო არა მხოლოდ ცოცხლობს, არამედ, ყველაფრის საწინააღმდეგოდ, იზრდება და აღწევს წარმატებებს. ასეთი ოპტიმისტური შეფასება მისცა თავის ქვეყანას ოდესღაც ომისგან ძლიერ შერყეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოდიოდა შთამბეჭდავი და აღმაფრთოვანებელი სიტყვით**

„საქართველო დაბრუნდა, – აღიდებდა თავის ქვეყანას სააკაშვილი, როდესაც გადაჭედილ დარბაზში გამოდიოდა. – საქართველო დაბრუნდა, ჯერ ერთი, როგორც პოლიტიკური რეფორმებისა და სოციალურ გარდაქმნათა ლაბორატორია. ჩვენ გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვამოძრავებს ის იმედები, რომლებიც მოგვიტანა ვარდების რევოლუციამ, იმედები – გადავაქციოთ ჩამორჩენილი სახელმწიფო თანამედროვე ევროპულ ქვეყნად.

დასაწყისისთვის ცოტა ისტორიაც. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ საქართველომ, რომელიც სამხრეთ კავკასიის მთებშია, მოიპოვა მყისიერი თავისუფლება კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ. როდესაც დამოუკიდებელი გახდა, ქვეყანა მოიცვა ქურდობამ, კორუფციამ და არასტაბილურობამ. 2003 წლის დემოკრატიული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რამაც ქვეყანას რეფორმები მოუტანა, რუსეთმა თავისი ყოფილი დომინიონისთვის შემოიღო ემბარგო, 2008 წელს კი შეიჭრა ამ ნამცეცა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობაც 5 მილიონზე ნაკლებია.

რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის ზაფხულის ომის გამო ამ პატარა ქვეყნის სახელი გაჩნდა მსოფლიო პრესის სათაურებში. აგვისტოს დაძაბულ დღეებში გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერამ ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან, რომელიც შეეცადა შეენარჩუნებინა ამ ქვეყნის მყისიერი სუვერენიტეტი, აგრეთვე საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მხრიდან, რომელმაც მოახერხა შუამავლის სახით ომის შეწყვეტა, არ მისცა საშუალება, რომ სიტუაცია ამოვარდნილიყო კონტროლიდან.

ამჟამად ორი ეთნიკური ანკლავი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – მოსკოვის კონტროლის ქვეშ რჩება, მათ კი მართავენ უხერხემლო ადგილობრივი რეჟიმები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ხელისუფლების სათავეში არიან. ოკუპაციის შედეგად გადაადგილებულ პირთა რაოდენობამ 500 ათას კაცს გადააჭარბა. „ჩვენი ორი ოკუპირებული რეგიონი უმართავობის შავ ხვრელშია. აქ, ამ მიწაზე დაუსჯელად მოქმედებენ დამნაშავეები, – განაცხადა სააკაშვილმა და დაუმატა: – რუსეთის არმია არ გადის ამ ტერიტორიებიდან, მიუხედავად შეთანხმებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

„დღეს ჩვენს ქვეყანას უკანონოდ თიშავს ახალი რკინის ფარდა, – აღნიშნა სააკაშვილმა. შემდეგ კი ხვეწნით მიმართა შეკრებილ დელეგატებს. – აღსანიშნავია, რომ მოსკოვის მხრიდან ძლიერი ზემოქმედებისა და მრავალრიცხოვანი დაშინების მიუხედავად, არცერთმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ არ აღიარა საქართველოს ასეთი დანაწევრება. ეს ფაქტი აჩვენებს, რომ ყოფილი საბჭოთა ეპოქის დათრგუნვილი ქვეყნები გადაიქცნენ ძლიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რომლებსაც შეუძლიათ თავად განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკა“.

მაგრამ საქართველოს ყველა პრობლემას მარტო მისი ჩრდილოელი მეზობელი როდი უქმნიდა. „ქართველმა ხალხმა შეიგრძნო თავისუფლების გემო, კორუფციის დაძლევა და ეკონომიკური განვითარების ნაყოფი, – ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა. – ოდესღაც პოსტსაბჭოთა სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა საქართველო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აღწევს კორუფციასთან ბრძოლაში უფრო მეტს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რის შესახებაც მოწმობს „ტრანსფერენს ინტერნეიშნელი... ოდესღაც ეს იყო ადგილი, სადაც ბანდები და მაფიები გამოსყიდვის მიზნით იტაცებდნენ უცხოელ ინვესტორებს. დღეს კი მსოფლიო ბანკი საქართველოს მსოფლიოში მეთერთმეტე ადგილს აკუთვნებს ბიზნესის წარმოების სიმსუბუქისა და სიმარტივის მიხედვით“.

შემოჭრამდე ზრდის ტემპი აღწევდა გამაოგნებელ მაჩვენებელს – 12 პროცენტს ყოველწლიურად. შეჭრის შემდეგ ეს ახალგაზრდა სახელმწიფო იტანჯება ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობით. და რადგანაც საქართველოში მოქმედებს დემოკრატიული სისტემა, პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობა 2008 წლის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში ძველებურად ღრმად რჩება.

„საქართველო იგებს მშვიდობას – საქართველო მოიგებს მშვიდობის წყალობით“, – აღნიშნავდა ამერიკაში ნასწავლი პრეზიდენტი დელეგატების წინაშე გამოსვლის დროს.

საქართველო ევროპისა და აზიის გადაკვეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე იმყოფება, ისტორიულადაც იგი იყო ერთმანეთის მოქიშპე ქვეყნების (რუსეთი, თურქეთი, ირანიძ ინტერესების შეტაკებათა არენა, მას ეთოლიავებოდა აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები. საქართველოს სურს თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მომავალი დასავლეთთან ერთად. იმის მცდელობით, რომ გამხდარიყო აქტიური მოთამაშე ევროპაში და მომავალში შესულიყო ნატოში, მან თითქმის 1000 თავისი სამხედრო მოსამსახურე გაგზავნა ავღანეთის მრავალეროვნული მისიის შემადგენლობაში. ეს არის ძველი ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის დროშაზეც გამოსახულია წმინდა გიორგის ჯვარი, ის ცდილობს შევიდეს ევროსაბჭოსა და ნატოში.

საქართველოს პრეზიდენტმა მოუწოდა რუსეთს იმოქმედოს როგორც „რაციონალურმა საერთაშორისო მოთამაშემ, და არა როგორც რევიზიონისტმა“, და განაცხადა, რომ „რუსეთის ფედერაციამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს თანამშრომლობას და არა ოკუპაციას, სავაჭრო კავშირს და არა ემბარგოს, მოთმინებას და არა ქანჩების მოჭერას“.

შემდეგ მან თქვა: „მოდერნიზაცია თავისუფლების გარეშე შეუძლებელია. კომპიუტერი არ არის საკმარისი, თუ არ გაქვს თავისუფალი გონება იმისთვის, რომ გამოიყენო იგი. მაშ, მოდით, გავათავისუფლოთ ჩვენი გონება საერთო საბჭოთა წარსულისაგან, რათა ავაგოთ საერთო მომავალი“.

სააკაშვილმა მოუწოდა მსოფლიო გაერთიანებას შეინარჩუნოს სიმტკიცე და უზრუნველყოს მშვიდობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს არასტაბილურ კავკასიურ რეგიონში. მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრეზიდენტმა განაცხადა: მე პირადად მინდა, რომ რუსეთი იყოს პარტნიორი და არა მტერი“. ასეთი მისწრაფება შეიძლება მისთვის გახდეს ყველაზე რთული პრობლემა.

WorldTribune.com

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთმა დაასწრო ეუთოს და ყირგიზეთში თავისი მესაზღვრეები გაგზავნა**

უახლოეს პერიოდში ყირგიზეთის ქალაქ ოშში, სადაც ზაფხულში უწესრიგობანი იყო, გაიგზავნება 40 რუსი მესაზღვრე. ადრე მოსკოვი არ ჩქარობდა გამოხმაურებოდა ბიშკეკის თხოვნას, შეეყვანა იქ სამხედროები, მაგრამ ოქტომბერში ყირგიზეთში ჩავლენ ეუთოს პოლიციელები. მეთვალყურეთა აზრით, რუსეთი ჩქარობს აღნიშნოს იქ თავისი სამხედრო ყოფნა.

* * *

**ჟურნალმა „ტაიმმა“ დაასახელა XX საუკუნის „სასიყვარულო სამკუთხედების“ ტოპ-ათეული**



მათ შორის არიან – პრინცი ჩარლზი, პრიცესა დაიანა და კამილა პარკერ-ბოულზი; ინგრიდ ბერგმანი, პეტერ ლინდსტრომი, რობერტო როსელინი; ელისაბედ ტეილორი, ედი ფიშერი და რიჩარდ ბარტონი.

* * *

**ლეიბორისტების ახალმა ლიდერმა დაგმო ტონი ბლერი, მან ერაყში შესვლას შეცდომა უწოდა**

„ერაყი იყო პრობლემა, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გათიშა“, – განაცხადა ედ მილიბენდმა თავის პირველ საპროგრამო სიტყვაში. მისი სიტყვებით, საერთაშორისო პოლიტიკაში ბრიტანეთს უნდა ეხელმძღვანელა გლობალური გაერთიანების ღირებულებებით, და არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეგობრობის პრინციპებით. ამ დროს დევიდ მილიბენდი შეიძლება წავიდეს დიდი პოლიტიკიდან.

* * *



**სპეცსამსახურებმა თავიდან აიცილეს ტერორისტული აქტი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგ**

პაკისტანელი ბოევიკები აპირებდნენ ერთდროულად ლონდონზე, საფრანგეთისა და გერმანიის დიდ ქალაქებზე შეტევების სერიას. პოტენციური ტერორისტების გეგმების განხილვაში მათ დაეხმარა ევროპის, ამერიკისა და პაკისტანის სპეცსამსახურების ერთობლივი მოქმედება. ტერაქტები „დაგეგმვის წინა სტადიაში“ იყო.

* * *

**კიმ ჩენ უნი აირჩიეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის უმცროსი შვილი, რომელსაც მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებენ, შევიდა აგრეთვე კორეის შრომის პარტიის ცენტრალური სამხედრო კომიტეტის შემადგენლობაში. ამ კომიტეტის ხელმძღვანელი ისევ გახდა კიმ ჩენ ირი, რომელიც კონფერენციაზე ხელახლა აირჩიეს კორეის შრომის პარტიის გენერალურ მდივნად.



## ჩვენი ბიბლიოთეკა

– ძალიან მინდა შენი პირადი ცხოვრების შესახებ თუნდაც სულ მცირე რამის გაგება. მაგალითად, გქონდა თუ არა ოდესმე რომანი უიკასთან, გინდ წუთიერი.

მან თავი დააქნია. ბრიდამ აუხსნელ-აუწერელი ეჭვიანობის ნემსის ჩხვლეტა იგრძნო, თუმცა თვითონაც ვერ იტყოდა, ვის მიმართ ეჭვიანობდა, მოგვის მიმართ თუ უიკას მიმართ.

– მაგრამ იმასაც გეტყვი, რომ არაჟამს ერთად ყოფნა არ დაგვიპირებია, – განაგრძობდა მოგვი. – ორივემ ვიცოდით ტრადიცია. და თითოეულ ჩვენგანს გვესმოდა, რომ ერთმანეთის სხვა ნაწილნი არ ვიყავით.

„ნეტამც სულ არ მცოდნოდა მანათობელი წერტილის ამბავი“, – გაიფიქრა ბრიდამ და, რასაკვირველია, ისიც შეგნებული ჰქონდა, რომ უკან ვეღარ მიტრიალდებოდა. ორი ჯადოქრისა თუ კუდიანის სიყვარული უკიდურესად თავისებურია.

ყმაწვილქალმა კიდევ ცოტა მოსვა. სანუკვარ მიზნამდე აღარცრა დარჩა – მალე დადგება გაზაფხულის ბუნიაობის დღეც, აწ კი ცოტა მოშვება და მოდუნება შეიძლება, უკვე კარგა ხანი იყო, რაც თავისი თავისთვის ზედმეტის დალევის უფლება არ მიეცა. მაგრამ ახლა ერთი უმნიშვნელო რამეღა დარჩენოდა – თავისი ხელდასხმისთვის კაბა უნდა მოეოცნებებინა.

ისინი სმასა და საუბარს განაგრძობდნენ. ბრიდას ისევ იმ ამბავთან მიბრუნება უნდოდა, რაც ყველაზე მეტად ეგულისყურებოდა, მაგრამ ჯერ საჭირო იყო, რომ მოგვს უფრო ხელფეხგახსნილად ეგრძნო თავი. ყმაწვილქალი კვლავ ბოლომდე ავსებდა ჭიქებს, და პირველი ბოთლი იმაზე მსჯელობაში გამოცალეს, თუ რა ძნელი იყო აი ასეთ პატარა სოფელში ცხოვრება. აქაურნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოგვს უწმინდურ ძალასთან ჰქონდა ნაცნობობა გაბმული.

ბრიდა გულსავსედ იყო და ის კი არა, საკუთარ თვალში გაიზარდა კიდეც – ეს კაცი, ეტყობოდა, მარტოდმარტო გრძნობდა თავს და დამლაპარაკებელიც არავინ არა ჰყავდა: საეჭვოდ ჩანდა, რომ გარდა: „გამარჯობათ, როგორ ბრძანდებითო“, კიდევ რამე გაეგონა ვინმე ადგილობრივისგან. პირველს მეორე ბოთლიც მოაყოლეს, და ბრიდას გაუკვირდა, რომ სმა და თრობა შეეძლო მოგვსაც, ვინც მთელი დღეები ტყეში იმის გულისთვის ყურყუტებდა, რომ ღმერთს ზიარებოდა.

როცა ნელ-ნელა ეს ბოთლიც გამოწრუპეს, ბრიდას უკვე აღარც ახსოვდა, რომ მადლობა უნდა ეთქვა ამ კაცისთვის, ვინც ახლა წინ ეჯდა. არადა სწორედ ამიტომ იყო აქ მოსული. აწ ბრიდასგან დიდ დაკვირვებას არც საჭიროებდა იმის შემჩნევა, რომ მოგვთან ურთიერთობაში ნიადაგ ფარული რამ გამოწვევა გამოსჭვიოდა. არა, ყმაწვილქალს ამ მჩხიბავ კაცში სულაც არ უნდოდა ისეთი რისამე დანახვა, რასაც სუყველა ხედავდა, მაგრამ თავისდა უნებურად ის მაინც ამას ესწრაფოდა, თუმცა გრძნობდა, რა შეიძლებოდა რომ მოჰყოლოდა ამ სწრაფვას. და კიდევ ბევრად უფრო ეძვირფასებოდა ეს ბრძენკაცი, რომელმაც ყველაზე მაღალი ხის წვერზე დადგმულ ქოხში აიყვანა, საიდანაც საათობით უჭვრეტდა, როგორ ჩადიოდა დაღლილი მზე.

მერმე მან უიკაზე ჩამოაგდო სიტყვა, რათა დაენახა, რარიგად გამოეხმაურებოდა ამ ამბავს მოგვი. შეაქო, როგორც ჩინებული მოძღვარი: მან უშურველად მასწავლა ყოველივე, რისი ცოდნაც დროისდა კვალად იყო საჭიროო, და თანაც ისეთნაირად მასწავლა, რომ მეჩვენებოდა, ვითომ ეს სულ მუდამ ვიცოდიო.

– ეგრეც არის, – მიუგო მოგვმა. – შენ მართლაც იცოდი. ეგ მზის ტრადიციაა.

„ტყუილად არ ვყოფილვარ დარწმუნებული, რომ უიკას კარგ მოძღვრობაზე არ დამეთანხმებოდა“, – გაიფიქრა ბრიდამ. მან კიდევ დალია და განაგრძო უიკას ქებადიდება. მაგრამ მოგვი აღარანაირად არ გამოხმაურებია.

– მიამბე რამე თქვენს რომანზე, – აშკარად წამქეზებლური განზრახვით მიმართა ბრიდამ. სინამდვილეში კი სულაც არ უნდოდა ამ რომანის თაობაზე რისამე შეტყობა. უფრო მეტიც – თუ არ შეიტყობდა, უკეთესიც იქნებოდა. მაგრამ მოგვისგან თუნდაც რამენაირი შეხმიანების სხვა ხერხი არ იყო.

– მაშინ ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით. და იმ თაობას ვეკუთვნოდით, რომელიც არანაირ აკრძალვას არ აღიარებდა და არცრის საზღვარი არ უწყოდა, მოსმენით კი „ბიტლზსა“ და „როლინგ სტოუნზს“ უსმენდა.

ბრიდა გაგონილმა გააკვირვა. და ღვინომ, იმის მაგივრად, რომ გაელაღებინა, უცებ პირუკუ ეფექტი მოახდინა – ერთგვარად დაძაბა. ბრიდას კიდევ უნდოდა რაღაც-რაღაცის შეკითხვა, მაგრამ გრძნობდა, რომ ყოველი პასუხი გულსა სტკენდა.

– შეხვედრით სწორედ იმხანად შევხვდით, – განაგრძობდა მოგვი და ვერ ამჩნევდა, რა მოულოდნელ ზემოქმედებას ახდენდა ყმაწვილქალზე თავისი ლაპარაკით, – თითოეული ჩვენგანი თავის გზას ეძებდა, და ჩვენი ორი გზა მაშინ გადაიკვეთა, როცა სასწავლებლად ერთსა და იმავე მოძღვართან მივედით. ჩვენ ერთად შევიცანით მზის ტრადიციაც და მთვარის ტრადიციაც, და მერმე უკვე ჩვენ თავად გავხდით მოძღვარნი.

ბრიდამ თავისი ხაზის ცოტა გამრუდება გადაწყვიტა. ორი ბოთლი ღვინის შემდეგ უცნობი ადამიანებიც ბავშვობის მეგობრები ხდებიან. და სიმამაცე მატულობს.

– ერთმანეთს რაღატომ დაშორდით?

აწ ღვინის შეკვეთის ჯერი მოგვს დაუდგა. დაძაბულობამ, რასაც ბრიდა განიცდიდა, კიდევ უფრო იმძლავრა. და ყმაწვილქალს ამქვეყნად ყველაზე ნაკლებად იმის გაგონება უნდოდა, რომ მოგვს ძველებურად უყვარდა უიკა.

– რაღატომ? რაღატომ და, იმანაც და მეც სხვა ნაწილის ამბავი შევიტყვეთ.

– თუ არც მარცხენა მხარზე აჩენილი მანათობელი წერტილისა და არც თვალების ციაგის შესახებ გაიგებდით რასმე, მაშინ დღემდე ერთად იქნებოდით?

– არ ვიცი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეგ არცრა კარგს არ გვიქადდა არც იმას, არც მე. ცხოვრებასა და სოფელ-ქვეყანას მაშინ ვამუღამებთ, როცა ჩვენს სხვა ნაწილს ვხვდებით.

ბრიდამ ერთხანს არ იცოდა, რა ეპასუხა. გაჭიანურებული დუმილი მოგვმა დაარღვია.




– ჰაერზე გავიდეთ, – თქვა მან, მესამე ბოთლსაც ცოტა თავი რომ წაუქცია. – ნიავი გაგვივლის, გავგრილდებით.

„დათვრა, – გაიფიქრა ბრიდამ. – და ეშინია“. ყმაწვილქალს ნამდვილად საამაყოდ ჰქონდა საქმე: მოგვზე ბევრად მაგარი გამოდგა. სულაც არ შიშობდა, რომ თავს ვერ დაიჭერდა. და ამ საღამოს ბოლომდე გართობა განიზრახა.

– ცოტა ხანს კიდევ ვისხდეთ. მე ხომ თამადა ვარ, სუფრის დედოფალი.

მოგვი კიდევ ერთ ჭიქას მიეპარა. მაგრამ იცოდა, რომ სადაც იყო ზღვარს გადავიდოდა.

– შენ არაფერს არ მეკითხები ჩემზე, – არცთუ შეუჩუჩხუნებლად თქვა ბრიდამ. – განა სულ არ გეგულისყურები? თუ შენი სიძლიერის წყალობით ისედაც იცი ჩემი ალიან-ჩალიანი? ან იქნებ ხედავ, რაც ჩემს გულში ხდება?

ახლა კი ერთობ დაუკრეფავში გადავედიო, წამიერად გაუელვა ბრიდას, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული რამ მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. და ოდენ იმის შემჩნევა მოასწრო, რომ მოგვს თვალებში სულ სხვა ციაგი ჩაუდგა. რასღაც უცებ თითქოს ფარდა აეხადა ბრიდაში – უფრო სწორად, ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ მავანი რამ კედელი ჩამოიქცა, ყოველგვარი დაბრკოლება გაქრა, და ამწუთიდან ყველაფერი ნებადართული და დასტურდაცემული იყო. მერმე ახლა ის წამოაგონდა, უკანასკნელად როგორ აღმოჩნდნენ გვერდიგვერდ – გვერდიგვერდ, მაგრამ არა ერთად, როგორ ოცნებობდა ამ კაცთან ახლოს ყოფნას და ეს კი რა გულცივად შეხვდა. აწ გასაგები გახდა, რომ ამჟამინდელი მოსვლა მოგვისთვის მადლობის თქმის სურვილით სულაც ვერ აიხსნებოდა. ის აშკარად შურისგებას მოეყვანა აქ. ყმაწვილქალს მოგვისთვის მადლობის თქმა კი არა, იმის თქმა უნდოდა, ძალა სხვა კაცთან აღმოვაჩინეო, იმასთან, ვინც მიყვარსო.

„მაგრამ რატომ მინდა ამ კაცზე შურისგება? რა არის ამ კაცში ისეთი, რაც აგრე მაშმაგებს?“ – ეკითხებოდა ბრიდა თავის თავს, მკაფიო პასუხს კი ვერ პოულობდა, რადგან სასმელისგან დაბანგული იყო.

მოგვი კი პირდაპირ მჯდომარე ქალიშვილს უცქეროდა და თავისი ძალაუფლების იმისთვის ჩვენების სურვილი ხან ტალღასავით ეხეთქებოდა, ხან უცებ ანებებდა თავს. მრავალი წლის წინათ ერთი აი ასეთი დღისა გამო შეეცვალა – თანაც ძალიან მკვეთრად – ამ კაცს მთელი ცხოვრება. მაშინ ნამდვილად „ბიტლზისა“ და „როლინგ სტოუნზის“ ხანა იდგა. მაგრამ იყვნენ იდუმალ ძალთა მაძიებელი ადამიანები, რომელთაც არ ეჯერათ და მაინც იყენებდნენ ჯადოსა და თილისმას, რადგან ისინი თავიანთ ნიჭსა და უნარზე ძლიერად მიაჩნდათ და მტკიცედ სწამდათ, ტრადიციას იმავ წუთს შევეშვებით, როგორც კი მივხვდებით, რომ მოგვბეზრდაო. და მოგვი იმ დროს ერთ-ერთი ასეთი ადამიანი იყო, იგი საკრალურ სამყაროში მთვარის ტრადიციის წიაღ შევიდა, რიტუალები შეისწავლა და ხილულსა და უხილავს შუა გადებულ ხიდზე გაიარა.

თავდაპირველად ამ იდუმალ ძალებს ის სხვათა შეუწევნელად უმკლავდებოდა, თუ წიგნებს არ ჩავთვლით. მერმე თავისი მოძღვარი იპოვა. პირველივე შეხვედრისას მან მზის ტრადიციის შესწავლა ურჩია, თუმცა მოგვმა არ მოისურვა. მთვარის ტრადიცია ბევრად უფრო ნათელი და გამოკვეთილი იყო, ძველებურ რიტუალთ ითვალისწინებდა და დროის სიბრძნით დაჯილდოებას უქადებდა. და ისიც სწავლობდა მთვარის ტრადიციას. ალბათ, მზის ტრადიციასთანაც სწორედ ამ გზით მივალო, ამბობდა.

იმხანად იგი სრულად იყო თავის თავში დარწმუნებული და წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ სულ გამარჯვების, ძლევისა და წარმატებათა ზეაღმავალი გზით ივლიდა. ის უკვე არაერთხელ ბრწყინვალედ წარემატა კიდეც თავის პროფესიულ საქმიანობაში და ვარაუდობდა, რომ მთვარის ტრადიცია ახალ მწვერვალთა დაპყრობაში წაადგებოდა. მაგრამ ამის უფლება რომ ჰქონოდა, საჭირო იყო, ჯერ ერთი, მოძღვრად გახდომა, მეორეც, არცროდის იმ ერთადერთი აკრძალვის დარღვევა არ ეგებოდა, რომლის დაცვაც მთვარის ტრადიციის მოძღვართ ევალებოდათ – აროდეს ზემოქმედება არ უნდა მოეხდინა სხვის ნებაზე. შეიძლება რომ კაცმა თავისი მაგიური სწავლა-ცოდნა გამოიყენოს და ამქვეყნად თავისი გზა დაქნას, მაგრამ არ შეიძლება რომ სხვები თავისი გზიდან ჩამოიშოროს და არც ის შეიძლება, რომ ვინმე იძულებულყოს, გინდა თუ არა ჩემს გზას დაადექიო. ასეთი იყო ერთადერთი შეზღუდვა, ერთადერთი ხე, რომლის ნაყოფის გემებაც არ შეეძლო, უფლება არა ჰქონდა.

და ყოველივე კარგად იყო მანამ, სანამ ის თავისი მოძღვრის ერთ-ერთ მოწაფე ქალიშვილს არ შეიყვარებდა, ხოლო ის ქალიშვილი – ამ ყმაწვილკაც მოგვს. ორივემ იცოდა ტრადიცია და ამიტომ ესმოდათ: ისინი ერთმანეთისთვის არ იყვნენ შექმნილნი, ეს იმის მამაკაცი არ იყო და ის – ამისი ქალი. მაგრამ მაინც დაახლოვდნენ და გაყრა-განშორების პასუხისმგებლობა თვით ცხოვრებას დააკისრეს – გაგვყაროს, როცა ჟამი დარეკავსო. და იმის მაგივრად, რომ ამ ამბავს ერთგვარად შეენელებინა იმათი ურთიერთსწრაფვა და ურთიერთლტოლვა, პირიქით, იძულებული გახადა, რომ სუყოველი წამი ისე გაშინაარსიანებულად ეხარჯათ, ვითომც უკანასკნელი წამი ყოფილიყოს, და იმათმა ტრფიალმაც იმ რაღაცის სიმძაფრეს მიაღწია, რაც, უწყის რა თავისი განწირულობა, მარადიული ხდება.

და ეს ამბავი მანამ გრძელდებოდა, სანამ ის ქალიშვილი სხვას არ გადაეყრებოდა. იმ სხვას არც ტრადიციის ცოდნა ჰქონდა და არც მანათობელი წერტილი უჩანდა მხარზე და არც კიდევ თვალები უჟუჟუნებდნენ, რითაც თავის გულის სწორს დაუმტკიცებდა და დაუსაბუთებდა, შენი სხვა ნაწილი ვარო. თუმცა შეყვარებულ ქალიშვილს ვნებათაღელვამ თავგზა აუბნია, რამეთუ სიყვარული ყრუა ყოველგვარი მტკიცებისა და საბუთის მიმართ. და თავგზააბნეულ მიჯნურს მოგვთან ცხოვრების ვადა ამოეწურა.

ისინი კამათობდნენ, ჩხუბობდნენ. მოგვი ყელგადაგდებით ენუკვოდა, ემუდარებოდა, თავს იმცირებდა ყოველნაირად, როგორადაც კი ვნებააშლილ მამაკაცს შეუძლია თავის დამცირება. და ამასიმასობაში ის შეიცნო და გაიგო, რასაც არცროდის სიყვარულისგან არ ელოდა – ისწავლა ცდა, შიში, დათმენა. „აკი თავად თქვი, მხარზე მანათობელი წერტილი არა აქვსო“, გულგაცივებული სატრფოს დარწმუნებას ცდილობდა მოგვი. მაგრამ ის ამ ამბავს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან თავის სხვა ნაწილთან შეხვედრამდე სოფელ-ქვეყნისა და მამაკაცთა უკეთ გაგება ეწადა.

**ქართულად გადმოაენა**
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169, 171-172, 176-177, 180-181.

◎ თაობა

# ევროპაზე გოგონებმა გვასახელეს

**ბათუმში დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ 18-წლიანებში ქეთი წაწალაშვილი და 16-წლიანებში მარიამ დანელია, რომლებმაც,



ქეთი წაწალაშვილი



მარიამ დანელია

შესაბამისად, 7,5 და 7 ქულა მოაგროვეს. ქართველ მოჭადრაკეებს უმაღლეს ჯილდოსთან ერთად ლეპტოპებიც გადაეცათ საჩუქრად. ამასთანავე, დანელიამ ტეხასის შტატის უნივერსიტეტში ოთხწლიანი უფასო სწავლის უფლებაც დაიმსახურა.

მეორე ადგილებზე გავიდნენ მერი არაბიძე (16 წ.ძ და ნატა ჯიბუტი (10 წ.ძ, რომლებსაც ვერცხლის მედლები ერგოთ, ხოლო დეა გოგიშვილი (14 წ.ძ და ნინო ჯალალონია (10 წ.ძ „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდნენ.

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ახლახან თბილისის „დინამომ“ სოლიდური შევსება მიიღო — ხანგრძლივი ლეგიონერობის შემდეგ საქართველოს საუკეთესო კლუბს დაცვის ბურჯი გივი კვარაცხელია და ფართო დიაპაზონის დირიჟორი დავით მუჯირი დაუბრუნდნენ.**






საპირისპირო სურათია „ვიტ ჯორჯიაში“, რომელიც ახალი სეზონის წინ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სისხლისგან დაიცალა — იმ მოთამაშეთაგან, რომლებმაც ვეტერინარებს შარშან ქვეყნის თასი და სუპერთასი მოაგებინეს, გუნდში მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი დარჩა (კლიმიაშვილი, ლიპარტია, ადამაძე, ზაქრაძე).

ბუნებრივია, ძალთა ასეთი თანაფარდობა კახი კაჭარავას შეგირდებს XXII ეროვნული ჩემპიონატის VIII ტურის ცენტრალური შეხვედრის წინ გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა და მათაც შესანიშნავად გამოიყენეს ბოძებული შანსი — დუნე დებიუტის შემდეგ



პირწმინდად დაჯაბნეს პრინციპული მეტოქე და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს — 2:0 (კვარაცხელია, ხმალაძე — პენალტითძ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუჯირის როლი ამ წარმატებაში — „მუმუ“ თვითონაც სახიფათოდ ემუქრებოდა ძაძამიას კარს (ერთ ეპიზოდში ბურთი ძელს მოხვდაძ და პარტნიორებსაც ამარაგებდა მწვავე გადაცემებით.

იმავე დღეს „ზესტაფონმა“ ბოლნისში „სიონს“ სძლია — 3:1 და 18 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. დინამოელები კონკურენტს ორი ქულით ჩამორჩებიან.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. II ტური. „ე“ ჯგუფი.** „ბაზელი- — „ბაიერნი“ 1:2 (ფრაი; შვაინშტაიგერი — 2ძ, „რომა“ — „კლუჟი“ 2:1 (მექსე, ბორიელო; რადაძ.

„ბაიერნი“ — 6, „რომა“, „კლუჟი“ — 3-3, „ბაზელი“ — 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** „ჩელსი“ — „მარსელი- 2:0 (ტერი, ანელკაძ, „სპარტაკი“ — „ჟილინა“ 3:0 (არი — 2, იბსონიძ.

„ჩელსი“, „სპარტაკი“ — 6-6, „მარსელი“, „ჟილინა“ — 0-0 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** „აიაქსი“ — „მილანი- 1:1 (ალ ჰამდაუი; იბრაჰიმოვიჩიძ, „ოსერი“ — „რეალი“ 0:1 (დი მარიაძ.

„რეალი“ — 6, „მილანი“ — 4, „აიაქსი“ — 1, „ოსერი“ — 0 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** „ბრაგა“ — „შახტარი“ 0:3 (ადრიანო — 2, კოშტაძ, „პარტიზანი- — „არსენალი“ 1:3 (კლეო; არშავინი, შამაკი, სკილაჩიძ.

„არსენალი“, „შახტარი“ — 6-6, „პარტიზანი“, „ბრაგა“ — 0-0 ქულა.

◎ ჭადრაკი

# ქალებმა მეორეზე გადაინაცვლეს

**უკვე გაუწყეთ, რომ ხანტი-მანსიისკში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე უკრაინელებმა ქართველი ვაჟების წინსვლა შეაფერხეს — ჩვენები 1,5:2,5 დამარცხდნენ: მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი და ლევან ფანცულაია, შესაბამისად, რუსლან პონომარიოვს, პაველ ელიანოვსა და ზახარ ეფიმენკოს დაუზავდნენ, ბაადურ ჯობავამ კი ვასილი ივანჩუკთან წააგო.**




სამაგიეროდ, გაგვახარეს ქალებმა. მე-7 ტურში მათ ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი ჩინეთის ნაკრები დაამარცხეს 2,5:1,5. გამარჯვების ქულა ჩვენებს მე-4 დაფაზე სოფიკო ხუხაშვილმა მოუტანა — ვენ იუს აჯობა. ჰოუ იფანისა და ნანა ძაგნიძის, ლელა ჯავახიშვილისა და იუ ვენძიუნის, ჟაო სიუსა და სალომე მელიას ორთაბრძოლები ყაიმით დამთავრდა. 7 ტურის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 12 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. 14 ქულით რუსეთის პირველი ნაკრები ლიდერობს. ვაჟებში 13 ქულით უკრაინელები დაწინაურდნენ. მეწინავეებს თითო ქულით რუსეთი(1ძ, უნგრეთი და აზერბაიჯანი ჩამორჩებიან.

**ლექსო ცინცაძე**

◎ რაგბი

# ლიდერობა მაინც შეინარჩუნა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მე-11 ტურში ყურადღებას იპყრობდა ერთპიროვნული ლიდერის — „ლელოს“ და „ვისოლი-ყოჩების“**



**შეხვედრა.** დაძაბული ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, რაზეც ანგარიშიც მიუთითებს. მაგალითად, პირველი ტაიმი ფრედ 11:11,მატჩი კი „ყოჩების“ გამარჯვებით დამთავრდა — 28:27. ამ მარცხის მიუხედავად, „ლელომ“ ლიდერობა შეინარჩუნა და, რაც მთავარია, ჯგუფური ტურნირის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ფლეიოფის საგზურიც დაიხვევა.

მეორე ადგილზე გადასვლის შანსი ჰქონდა ქუთაისის „აიას“, მაგრამ რიონისპირელები ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ, ამჯერად — რუსთავის „ხარებთან“ 12:16. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „აკადემია“ — „არმაზი“ 22:22, „ლოკომოტივი“ — „ბათუმი XV“ 33:24.

**თერთმეტი ტურის შემდეგ:** „ლელო“ — 16, „ყოჩები“ — 15, „ლოკომოტივი“ — 14, „აია“ — 14, „არმაზი“ — 9, „აკადემია“ — 8, „ხარები“ — 8, „ბათუმი XV“ — 4 ქულა.

**გივი გაგუა**

◎ თილისმა

# ინგლისის უჩვეულო ელჩი

**ვიდრე ფიფას კომისია ფეხბურთში 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანას დაადგენდეს, ამ საპატიო მისიის ერთ-ერთმა კანდიდატმა ინგლისმა გამარჯვების მოსაპოვებლად ერთობ ორიგინალურ ხერხს მიმართა.**

მისი უდიდებულესობა დედოფლის ქვეშევრდომებმა თავიანთი პოზიციის განსამტკიცებლად ცნო-



ბილ წინასწარმეტყველ რვაფეხა პაულის უხმეს, სწორედ იმას, რომელიც უშეცდომოდ გამოიცნობდა მუნდიალ-2010-ის მატჩების შედეგებს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პაული ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების დიდი ბრიტანეთის განაცხადის... ელჩად დაინიშნა! ბრიტანელებმა მოლუსკის... წარმოშობა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ მისი დაბადების ადგილია ინგლისის საგრაფო დორსეტი: იგი პატარა ქალაქ უეიმუთის ოკეანარიუმში დაიბადა 2008 წელს, ხოლო გერმანიის ქალაქ ობერჰაუზენის ზღვის სიცოცხლის ცენტრში მერელა „გადასახლდა“. დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის ასოციაციის მესვეურთა აზრით, პაული, როგორც ჭეშმარიტი ჯენტლმენი, ვალდებულია სამშობლოს სათანადო თანადგომა აღმოუჩინოს ესოდენ პასუხსაგებ ვითარებაში.

ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის, უფლისწულ უილიამის თქმით, პაული მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პერსონად გადაიქცა, რომლის აზრს უამრავი ადამიანი „ანგარიშს უწევს“. ხოლო იმას, რომ მან ინგლისსა და გერმანიას შორის მეოთხედფინალურ მატჩში ინგლისელებს წაგება უწინასწარმეტყველა, კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მიუკერძოებლობას.

პაულის გარდა, ინგლისის განაცხადის ელჩები არიან დევიდ ბექჰემი, ფაბიო კაპელო, ჯონ ტერი და ინგლისური ფეხბურთის კიდევ ათამდე ვარსკვლავი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ფეხბურთში 2018 და 2022 წლების მასპინძელი ქვეყნების არჩევნები წლეულს 22 დეკემბერს გაიმართება. კანდიდატები არიან ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ასევე ერთობლივი განაცხადების წარმდგენლები ესპანეთი და პორტუგალია, აგრეთვე ჰოლანდია და ბელგია.

◎ ინტერნეტიდან

## 6 წლის შემდეგ

**2004 წელს მზის სინათლე იხილა ვლადიმერ და ვიტალი კლიჩკოების შესახებ გამოცემულმა პირველმა წიგნმა. და აი, 6 წლის შემდეგ გერმანელმა ჟურნალისტმა ჰარმუთ შერცერმა თითქმის დაასრულა მუშაობა ლეგენდარული უკრაინელი მოკრივეებისადმი მიძღვნილ მეორე კრებულზე (ფასი — 3,500 ევროძ, რომელიც, ავტორის აზრით, ბესტსელერი გახდება.**



საკვანძო ბრძოლები, ძმათა უძლიერესი მეტოქეები, პირადი ცხოვრება, ურთიერთობა ოჯახში, მეგობრები — თითოეულ ამ თემას ცალკე თავი აქვს დათმობილი.

მართალია, ახალი ნაშრომის სათაური ჯერ არ შეურჩევიათ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ თავიდან მხოლოდ გერმანიაში დაიბეჭდება, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ მისი ინგლისური და, სავარაუდოდ, რუსული ვარიანტებიც გამოქვეყნდება.

## უყვარს და რა ქნას

**ამ დღეებში იტალიაში იწყება ევროპის ჩემპიონატი ავსტრალიურ ფეხბურთში, რომელსაც, სავარაუდოდ, მისი დიდი მოყვარული და პოპულარიზატორი, სახელგანთქმული მოდელი კრისტალ ფორსკატი დაესწრება.**

სპორტის აღნიშნული სახეობა XIX საუკუნეში დაიბადა და მის შეხვედრებზე „მწვანე კონტინენტის“ სტადიონებზე მრავალათასიანი აუდიტორია იკრიბება. რეალითი-შოუს „დიდი ძმა“ მონაწილე მზეთუნახავი ცდილობს იქაური პირველობის ყველა მნიშვნელოვან მატჩს დაესწროს და ამით გამოხატოს თაყვანისცემა ეროვნული საუნჯისადმი.

სხვათა შორის, ახლო წარსულში კრისტალს ხანგრძლივი არცთუ კრისტალური რომანი ჰქონდა ავსტრალიური ფეხბურთის ვარსკვლავთან ჯოუ გიბსონთან.



◉ ხუმარსიტყვა დაბადების დღეზე

# მონატრების ლექსი

***მოგვენატრა თავი ჩვენმა ძვირფასმა ჯანსუღ ჩარკვიანმა — გაზეთ „ქართულ სიტყვას“ უშვებს და „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ ველარ იცლის. თუმცა ჩვენ არ დაგვვიწყნია 30 სექტემბერი და ქართველი ხალხის საყვარელ პოეტს თავისივე ცნობილი ლექსის მოტივზე ვულოცავთ დაბადების 79-ე წლისთავს.***

*I*

*ჯანსუღი:*

*— ალეკოსათვის მიმატანინე ლექსი,*
*გურამისათვის მიმატანინე „კექსი“,*
*ვილენისათვის მიმატანინე ღვინო —*
*ძმებმა, სადილად, ცოტა რომ მოილხინონ...*
*ველარ გნახულობთ, ნუ გამიწყრებით რაზეც,*
*ეს რა სცოდნია, კაცო, საკუთარ გაზეთს.*

*II*

*„საქართველოს რესპუბლიკის“*
*რედაქცია:*

*— არ დაგვკლებია ჩვენ მოფერება შენი,*
*ნაღდი კაცობა და ნაღდი ლექსი გშვენის,*
*გვიხარის, წლებს რომ არ ეპუები, ლომო,*
*და სიბერესთან ახალგაზრდულად ომობ!*



გაახმოვანა
**ვილენ მარდალეიშვილმა**

# ...და სულ მოყვასთა სასიკეთოდ გაგირბის თვალი...

## სადაბადებისდღეო ლექსპრომტთა პოპური ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს ჯანსუღურად, პერიფრაზირებითა და მეგობრული შეხუმრებით

*შედგები ცერზე, შემართული ვითარც ავაზა,*
*ერთს გადახედავ პირნათელი დღეებს გაფრენილს,*
*მერე მოკვდები, ასი წლისა, ისე ლამაზად,*
*ვით დაიბადა და გამრავლდა ეს ყველაფერი!*

*რა ყველაფერი? — ის, რის გამოც უყვარხარ ყველას,*
*და რაის გამოც პატივსა გცემს ქართველი ერი!*

* * *

*მშიერისათვის გიჭმევია მრავალჯერ პური,*
*თანაც თავთუხის, თორემ განა უბრალო ქატოს,*
*მწყურვალთათვისაც მიგიწვდია ბევრჯერ სასმური,*
*იმ წყლით, შვილთათვის რომ იმეტებს მრავალი მარტო!*

*ერთილა მიკვირს ამის მერე, მიკვირს ძალიან,*
*სტრიქონს რომ ვჰკიდე, გამიშტერდა კინაღამ თვალი.*
*მევალისათვის მიმატანინე ვალიო, რომ სთხოვ ღმერთს, ღმერთი არ გწამს, უნდა გქონდეს შენ სხვისი ვალი?*

*შენ, ვინც მუდამ სხვას ეხმარები, მოყვასს ევლები,*
*და სულ მოყვასთა სასიკეთოდ გაგირბის თვალი?*

*...თუმც რადლა მიკვირს, ამის მერე გექნება, აბა,*
*აღარ გექნება სხვათა შემწეს მევალის ვალი?*

* * *

*„საირმეში“ „გულაობ“*
*და არც ბედმა გიგანა,*
*შორს გაგითქვა სახელი*
*ირმა-მოცარტ გიგანმა!*

*უფროს ირმას, ჩხეიძეს,*
*ხომ მთლად უნდა უმადლო!*
*სწორედ მისი წყალობით*
*ხარ პოეტი უბადლო!*

*სწორედ მათი წყალობით*
*გაქვს სახელიც, ქონებაც,*
*ასეთია, ბატონო,*
*„საირმეში“ ცხოვრება.*

***P. S. ერთსღა გირჩევ, პეკინიდან***
***გადაბარგდე სხვა „კუთხეში“,***
***საირმეზე დასახლდე და***
***ინებივრო „საირმეში!“***

* * *

***P. P. S. ეს ხუმრობა იქით იყოს,***
***დამიჯერეთ, ხალხო,***
***ღმერთს მადლს ვსწირავ, ბატონ ჯანსუღს***
***რომ ვცნობ ასე ახლოს!***

* * *

***გისურვებ, ბედმა ვერასდროს***
***ველარ გამოგდოს სარმა,***
***იმრავლოს ჩარკვიანთა***
***ჯიშ-ჯილაგმა და გვარმა!***

ძმური შეხუმრებით
**რუსლან რუსია**

◉ აკაკი წერეთელი — 170

# არ უძებნია დიდება, სიმდიდრე, წარჩინება...

**„აკაკი მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი მსახური და მქადაგებელი“, — ასე ჰქვია ცეზარ ლაშხის წიგნს, სადაც თავმოყრილია აკაკი წერეთლის რელიგიურ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები.**

**წიგნს ერთვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ცეზარ ლაშხის ვრცელი წერილი, რომელიც პოეტს წარმოაჩენს უდიდეს მორწმუნედ და ქრისტიანული რელიგიის თაყვანისმცემლად.**

ავტორის თქმით, აკაკის არც ერთ აკადემიურ გამოცემაში არ შეიტანეს მრავალი ნაწარმოები, რადგან „საბჭოთა პერიოდში რელიგიაზე ვერავინ გაბედავდა დადებითი აზრის გამოთქმას“.




წიგნში ვრცლად გადმოცემულია აკაკის 50 წლისთავის ამსახველი საიუბილეო მასალები — ეპისკოპოს ლეონიდის სიტყვა, დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის მიმართვა მგოსნისადმი, მღვდელ სვიმონ მჭედლიძის და ეპისკოპოს გიორგი (ალადაშვილის) გამოსვლა.

აკაკის იუბილეს, ასევე, გამოეხმაურნენ ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორი, დეკანოზი დავით ღამბაშიძე, აგრეთვე, მღვდლები — ერეკლე აბაშიძე და დომენტი ჩხაიძე.

„სასიამოვნო ჟრუანტელი, რომელიც ამ სახელის ხსენებაზე ტანში გივლის, გულის ტოკვა, რომელიც იძლევა რაღაც გამოურკვეველ მხიარულებას, უტყუარი საბუთია იმისი, რომ ყველა ქართველი აკაკია და აკაკი — ყველა ქართველი, რომ მისგან, აკაკისგან დახატული ეროვნული და კაცობრიული იდეალები თითოეული ქართველის იდეებია, რომ აკაკი მხოლოდ ფოკუსია, რომელშიც საქართველოს ანგელოზმა, საქართველოს გენიამ შეკრიბა ყოველივე, რაც მაღალია, რაც უზენაესი და უაღრესია ქართველი ერის ბუნებაში“, — წერს სვიმონ მჭედლიძე.

ხოლო დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი აკაკის ქართველი ერის წინამძღოლად მოიხსენიებს, ვისი „კალამი უნათებდა ქართველ ერს ცხოვრების გზას მსგავსად იმისა, როგორც ებრაელებს უნათებდა გზას ღრუბლის სვეტი. ის წინ აღუდგა ყოველ ნაკლს, ყოველ ბოროტებას, რომელსაც ამჩნევდა უცხოელთა და ქართველთა ერში“.

ნესტორ ყუბანეიშვილმა აკაკი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს შეადარა, „რომლებიც პირად სარგებლობას სრულიად უარყოფენ და ზრუნავდნენ მხოლოდ თავის ხალხზე, მაგალითად, თუნდ, მოსე წინასწარმეტყველი“.

აკაკის არ უძებნია დიდება, სიმდიდრე, წარჩინება და ჯილდო. მან ძალ-ღონე, განათლება და ნიჭი სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარაო, — აღნიშნავენ იუბილეზე სიტყვით გამოსულნი.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძესთან ერთად თავგანწირული იბრძოდა მამულის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად, რომ რუსული ენის ნაცვლად სკოლებში სავალდებულო სწავლებად ქართული ენა შემოეღოთ, ეკლესია-მონასტრებშიც წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე აღვლენილიყო.

„შენი იუბილე თავდებია ქართველთა ერის გამოფხიზლების, რომელიც, შენი ჩანგის ზებავლენით, შენი დაფის და ნაღარის გვირგვინივით ძილ-გაფრთხობილი, აღარ დაიძინებს და მუდამ დარაჯად იქნება, რომ არ გაითქვიფოს სხვა ეროვნებათა შორის და მით არ ჩაირეცხოს შენი ხსენება“, — ასე მიმართა აკაკის სვიმონ მჭედლიძემ.

იმის გარდა, რომ ცეზარ ლაშხი ვრცლად წარმოაჩენს აკაკი წერეთელს, როგორც ქრისტიანობის ჭეშმარიტ მსახურსა და მქადაგებელს, იქვე დასძენს, რომ იქნებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გადაწყვიტოს აკაკის წმინდანად შერაცხვის საკითხიო.

მართლმადიდებლობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს შორის, წიგნში წაიკითხავთ აკაკის ისტორიულ პოემებს: „ანდრია პირველწოდებული“ და „წმინდა ნინო“.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ ინფორმაცია

## დააკავეს თაღლითი დედა-შვილი

**თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად თაღლითობაში ეჭვმიტანილი დედა-შვილი დალი და ლია მელიქიძეები დააკავეს.**

როგორც პროკურატურა იუწყება, გამოძიებით გაირკვა, რომ დალი მელიქიძემ და მისმა შვილმა ლია მელიქიძემ განიზრახეს, მოტყუებით დაუფლებოდნენ თამარ ჯომარდიძის კუთვნილ ფულად თანხას.

მათი განმარტებით, იცოდნენ რა, რომ ჯომარდიძე მზად იყო, მეუღლის, განსასჯელ თეიმურაზ გორდელაძისათვის სასჯელის შემსუბუქების მიზნით გაეწია გარკვეული ფინანსური ხარჯები, ისინი დაუკავშირდნენ თამარ ჯომარდიძეს და დაარწმუნეს, რომ ჰყავდათ ნაცნობი მაღალჩინოსანი მოხელე, რომელიც 5000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, დაეხმარებოდა გორდელაძეს საპროცესო შეთანხმების გაფორმებაში.

2010 წლის ზაფხულში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე დალი მელიქიძის საცხოვრებელ სახლში, განსასჯელის ძმის — ლევან გორდელაძის თანდასწრებით, თამარ ჯომარდიძემ მელიქიძეებს გადასცა მათ მიერ მოთხოვნილი 5000 აშშ დოლარი.

დალი და ლია მელიქიძეებს ბრალი ედებათ თაღლითობაში, რაც გამოიხატა თამარ ჯომარდიძესათვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის მიყენებით, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს.

## ბავშვი თაგვის წამლით მოიწამლა

**თაგვის წამლით მოწამლული 3 წლის სალომე მთვარელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ამის შესახებ იაშვილის სახელობის კლინიკის პრეს-სამსახურში განაცხადეს.**

მათი ინფორმაციით, ბავშვი გურჯაანიდან თბილისში, იაშვილის კლინიკაში, სამშაბათს გვიან ღამით, მწვავე ინტოქსიკაციის ნიშნებით, გადმოიყვანეს. ბავშვს სათანადო მკურნალობა ჩაუტარდა.

— ამ დროისთვის სალომე მთვარელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, — აცხადებენ კლინიკაში.

მათივე თქმით, ბავშვმა თაგვის წამალი დალია, რაც მწვავე ინტოქსიკაციის მიზეზი გახდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ნუგზარ ფოფხაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და არმაზ სანებლიძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ქალბატონ გულიკო ჩაფიძეს ვაჟიშვილის**

**თეიმურაზ ცხაკაიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**დალი და ანზორ კვარაცხელიები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ მარინა, შალვა, გიორგი და დათი ნაჭყებიებს დედის, სიდედრის და ბებიის, ყველასათვის მზრუნველი მეან-გინეკოლოგის**

**დოდო უჩანეიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გიორგი ხაზარაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ახლო მეგობრის და თანამებრძოლის ალექსანდრე ვაშაკიძის მეუღლის**

**მერი მიქაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**უახლოესი მეგობრები: ელვერ კუპატაძე, რევაზ ნაცარიშვილი, ბიძინა კარტოზია, გიორგი ხაზარაძე, გურამ გვეტაძე, კარლო გარდაფხაძე, მოსე მდინარაძე, უშანგი შერმაზანაშვილი, დავით იაკობაშვილი, ნოდარ პეტრიაშვილი, ნიკოლოზ აბრამიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, გაიოზ ხუციშვილი, ლევან ჩაჩუა, ომარ დალაქიშვილი, მანანა არევაძე მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ დიდუბე-ჩუღურეთის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარეს ალექსანდრე ვაშაკიძეს მეუღლის**

**მერი მიქაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## მამაკაცური ძალა

# პოტენციის ამაღლება „ელვის პრესლის სტილში“

**მსოფლიოში დაახლოებით 150 მილიონი მამაკაცია, ვისაც ერექციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები აქვს. ამასთან, ერექციით დაუკმაყოფილებლობა არა მარტო დიდად ალარიბებს მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებას, არამედ მის თვითშეფასებასაც აკნინებს.**

სხვადასხვა ეროვნების მამაკაცი ამ პრობლემას სხვანაირად უდგება. მაგალითად, ფრანგებისთვის ერექციის სიმძლავრე უფრო მეტადაა მნიშვნელოვანი, ვიდრე გერმანელთათვის. ამავე დროს, ერექციით უკმაყოფილოა ფრანგ მამაკაცთა 72 პროცენტი, შვეიცარიელთა შორის ეს მაჩვენებელია 61 პროცენტი, ხოლო ბრიტანელთა შორის – 51 პროცენტი.

უწინ მიაჩნდათ, რომ მამაკაცის მიერ სექსუალური ფუნქციის შეუსრულებლობა – გარდუვალ ასაკობრივ ცვლილებათა, ასევე ცხოვრების არაჯანსაღი წესის შედეგია. თუმცა ბოლო დროს საკითხისადმი მიდგომა ძირეულად შეიცვალა, რადგან **ერექტილური დისფუნქცია იკურნება და, შესაბამისად, მამაკაცთა აქტიური სქესობრივი ცხოვრება კვლავაც გრძელდება.**

შოტლანდიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცები, რომლებსაც სასიყვარულო ურთიერთობა კვირაში სამზე არანაკლებად აქვთ, იმათზე 10 წლით ახალგაზრდულად გამოიყურებიან, ვისაც სქესობრივი კონტაქტი კვირაში 1-2-ჯერ აქვთ. მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ სექსუალური ცხოვრების აქტივობა 75 პროცენტით მიჩვევაზეა დამოკიდებული, 25 პროცენტი კი გენეტიკურ პოტენციალზე მოდის. **სადღეისოდ მეცნიერებს ეჭვი არ ეპარებათ იმის თაობაზე, რომ სექსი ყველასათვის სასარგებლო ჩვევად უნდა გადაიქცეს.**



ამასთან, ისინი რამდენიმე რჩევასაც იძლევიან. კერძოდ: მამაკაცურ პოტენციას კვება სჭირდება, ამიტომ მიიღეთ „გამრავლების“ ვიტამინების E –სა და A-ს, ასევე B-ს შემცველი საკვები, რომელიც იმპულსების ნერვებით გატარებას უწყობს ხელს; ბროწეულის წვენი შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც სისხლძარღვებს აფართოვებს და ხელს უწყობს სასქესო ორგანოს სისხლით მომარაგებას. კალიფორნიაში 21-დან 70 წლამდე ასაკის 100 მოხალისე კაცი ბროწეულის წვენს ერთი თვის მანძილზე ყოველდღე სვამდა, რის შემდეგ ნახევარმა მათგანმა განაცხადა, რომ სიყვარულში „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა; დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში ექიმები მოხალისე მოცეკვავეებს აკვირდებოდნენ და დაასკვნეს, რომ ელვის პრესლის სტილში თეძოების ქნევას პოტენციის აწევა შეუძლია, რასაც თანამედროვე წამლების ზემოქმედებას ადარებენ; დღეში 100 გრამ შავ შოკოლადს სისხლძარღვებში სისხლის ცირკულაციის გაუმჯობესება და სურვილის აღძვრა შეუძლია; ხენდრო და ქოლო – რომანტიკული პაემანის საუკეთესო ატრიბუტებია, ვინაიდან მთავარი მამაკაცური ჰორმონის ტესტერონის გამომუშავებას უწყობს ხელს; რაც უფრო მაღალია მამაკაცის სოციალური სტატუსი, მით უფრო მეტადაა იგი აქტიური სექსუალურ ცხოვრებაში. სამსახურებრივი წინსვლა მის პოტენციას სწევს, უკანსვლა კი, პირიქით, ამცირებს.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ **თითოეულ მამაკაცში ჩადებულია არა ერთი, არამედ... 15 ქალს გასაწვდომი პოტენცია, მიაჩნიათ ანდროლოგებს, რომლებიც, ამასთან, დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ამან მისცა კაცობრიობას თავის გადარჩენის შესაძლებლობა.**

პოტენციის 60 პროცენტით დაქვეითება, უმეტესობა შემთხვევაში, სხვადასხვა ორგანოთა და სისტემათა დაავადებასთანაა დაკავშირებული, 30 პროცენტში „დამნაშავეა“ ფსიქოლოგია – შიშები და ქალთა არასწორი მოქცევა, წარუმატებლობათა დანარჩენი 10 პროცენტი კი შერეულ შემთხვევებზე მოდის. ამასთან, ოდეკოლონები და ნელსაცხებლები, უფრო სწორად კი მათი შემცვლელი ფტალატების ჯგუფის ქიმიკატები, შესაძლოა, იმპოტენციის მიზეზი გახდეს, დაასკვნეს ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა. ამიტომ ეცადეთ მოიხმაროთ ორგანული კოსმეტიკა, აირჩიეთ პარფიუმერული ნაწარმი ქიმიურ მინარევთა გარეშე.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

## დღის კალენდარი

30 სექტემბერი

ხსენება მოწამეთა: პისტისა, ელპიდისა, აღაპისა და დედისა მათისა სოფიოსი (დაახლ. 137ძ; მოწამეთა თეოდოტიასი (დაახლ. 230ძ და ალათოკლიასი. 156-თა მოწამეთა: პელისი და ნილოსისა, მეგვიპტელ ეპისკოპოსთა, ზენონ ხუცისა, პატერმუთისი, ელიასი და სხვათა (დაახლ. 310ძ.



ამოდის 05.56
ჩადის 17.45



ამოდის 22.05
ჩადის 12.49

### დაიბადნენ:

1707 – **პიეტრო როტარი,** იტალიელი მხატვარი, როკოკოს სტილის ოსტატი.
1882 – **ჰანს ჰეიგერი,** გერმანელი ფიზიკოსი.
1891 – **ოტო შმიდტი,** რუსეთელი მეცნიერი, ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების ერთ-ერთი ორგანიზატორი.
1922 – **ანატოლი პაპანოვი,** რუსი მსახიობი.
1927 – **თენგიზ ამირეჯიბი,** პიანისტი, პროფესორი.
1930 – **ზურაბ კუხიანიძე**, პოეტი. გარდაიცვალა 2003 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1435 – **იზაბელა ბავარიელი,** საფრანგეთის დედოფალი.
1985 – **ჩარლზ რიხტერი,** ამერიკელი სეისმოლოგი, მიწისძვრის სიმძლავრის შეფასების შკალის ავტორი.
1985 – **სიმონა სინიორე,** ფრანგი კინომსახიობი.
1999 – **დმიტრი ლიხაჩოვი,** რუსი ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი.

### მოვლენები:

**1630 წელი** – განაჩენი გამოუტანეს პირველ ამერიკელ დამნაშავეს – იგი მკვლელობისათვის ჩამოახრჩვეს.
**1783 წელი** – დაარსდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია.
**1791 წელი** – ვენაში გაიმართა მოცარტის ოპერის „ჯადოსნური ფლეიტის“ პრემიერა.
**1928 წელი** – ბრიტანელმა მეცნიერმა ალექსანდრ ფლემინგმა აღმოაჩინა პენიცილინი.
**1946 წელი** – ნიურნბერგში (გერმანიაძ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო გერმანელი ნაცისტებისთვის გამოტანილი განაჩენის გამოქვეყნება.
**1993 წელი** – ინდოეთში 6.4 ბალის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად 28.000 ადამიანი დაიღუპა.

**ღირსსახსოვარი დღე:**
**მარშალის კუნძულები** – ტრადიციების დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

**იყიდება სასწრაფოდ!**

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
საუკეთესო ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616.

აგარაკი ტაბახმელაში
თანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 537 616 ან 899 16 93 57.

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +22 |
| ქუთაისი. | +18 – +25 |
| ბათუმი. | +16 – +21 |
| ზუგდიდი. | +16 – +28 |
| თელავი. | +14 – +24 |

**ქირავდება ან იყიდება**

ბინა გამსახურდიას გამზირის №35-ში მესამე სართულზე გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. 97,43 კვმ ფართის ოთხი ოთახი (ულოჯოდ) დიდი აივნით, (ახალგარემონტებული), კაპიტალური ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 31-18-50 – 10-დან 16 საათამდე 39-86-08; 18 დან 22 საათამდე.

## ანეკდოტები

**მივიდა ქალი გინეკოლოგთან. მან გასინჯა და ეკითხება:**
**– რამდენი პარტნიორი გყავდათ?**
**– ხუთი თუ ექვსი...**
**– არცთუ ისე ბევრია.**
**– ჰო, გასული კვირა ჩამივარდა...**

* * *

**დაბრუნდა ქმარი საავადმყოფოდან, სადაც თავისი სიდედრი მოინახულა. თავპირი ჩამოსტირის. კართან ცოლი შეეგება:**
**– როგორ არის დედაჩემი?**
**– როგორ და, მხეცივითაა, მალე გამოეწერება საავადმყოფოდან და ჩვენთან იცხოვრებს.**
**– როგორ, კაცო, აბა გუშინ ექიმმა რომ მითხრა, სიკვდილის პირასააო?**
**– არ ვიცი, შენ რა გითხრა ექიმმა, – ჩაილრინა ქმარმა, – მე კი მითხრა, ყველაზე ცუდისთვის ემზადეთო.**



* * *

**ორი მოხუცი მეზობელი ქალი საუბრობს:**
**– მას მერე, რაც ჩემს მომიჯნავე ბინაში ახალდაქორწინებული წყვილი დასახლდა, ძილი არა მაქვს.**
**– რა, ასეთი ტემპერამენტიანები არიან?**
**– არა, ქალო, მთელი ღამე ყური კედელზე მაქვს მიდებული, მაგრამ მათგან ჩამიჩუმიც არ ისმის!**

* * *

**რა გვარი ხარ? – ეკითხებიან აშოტას.**
**– დადიანი.**
**– ჰოო! ძალიან ცნობილი გვარია!..**
**– ცნობილი იქნება, ცავატანემ, აბა რა, ოც წელზე მეტია ამ უბანში ტუფლებს ვაპაჩინკებ!**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.